ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 12 დეკემბერი 1963



თელეთის მიწის
ბარაქა

## ლადო სულაბერიძე

### კალენდარის ბოლო ფურცლებთან

გიორგი საწერ მაგიდასთან ზის და კალენდარს დასცქერის.

იწურება მშფოთვარე წელიწადი. კალენდარზე დეკემბრის უკანასკნელი ფურცლებიც გადაიკეცება და იანვარში ორი წელი შესრულდება, რაც გიორგი დალაქიშვილი სათავეში უდგას თელეთის საბჭოთა მეურნეობას.

დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის დელეგატად აირჩიეს გიორგი. მართლაც ღირსეულად წარსდგება ის ყრილობის წინაშე. ორი წლის წინ მან ძალზე ჩამორჩენილი მეურნეობა ჩაიბარა, იმ წელს მეურნეობამ სახელმწიფოს 706 ათასი მანეთი ზარალი მისცა.

წელს კი ყრილობას წელგამართული წარუდგება — სახელმწიფო ბეღელს 3.300 ტონა მარცვალი მიუმატა მეურნეობამ (შარშანდელთან შედარებით 1.500 ტონით მეტი); ამას დაუმატეთ 10 ათასი ცენტნერი რძე; 1745 ჰექტარ სათესებიდან ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი სიმინდი და 28 ცენტნერი ხორბალი მიიღეს; ამ შემოდგომაზე კი 2.200 ჰექტარზე დათესეს თავთავიანი კულტურები.

ახლა მეურნეობა მომგებიანია. გიორგი, როგორც შრომის შესანიშნავი ორგანიზატორი, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მრავალგზის მოიხსენიეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირებზე.

რას დაპირდება ყრილობას?

1965 წლისათვის მეურნეობას ექნება ოთხჯერ მეტი ძროხები, ვიდრე ამჟამად ჰყავს; გააშენებენ 300-300 ჰექტარ ვენახსა და ხეხილის ბაღს; დათესავენ 240 ჰექტარ ბოსტნეულ კულტურებს; რძის წარმოება 4-5-ჯერ გაიზრდება; 3.500 ჰექტარზე იქნება ათვისებული სარწყავი სისტემა. შვიდწლედის ბოლოსათვის მეურნეობის მთელ ფართობს მტკვრის წყალი გააცოცხლებს.

გიორგიმ კალენდარს თვალი მოწყვიტა და მაგიდის უჯრიდან ფართო და სქელი ჟურნალი ამოიღო.

ამ ჟურნალშია აღნუსხული მისი ყოველდღიური საქმიანობა.

საღამოს გადაშლის ხოლმე და მთელი დღის ნამოქმედარს მოკლედ აქ ჩაწერს. რაც გაუკეთებელი დარჩა, იმასაც ჩაინიშნავს. ეს ჟურნალი დღიურივით აქვს.

მე რომ შევედი, ფეხზე წამოიჭრა მაღალი ტანის ვაჟკაცი, ფართო თვალები შემომანათა და ღიმილით შემომეგება. ერთმანეთი მოვიკითხეთ. დავსხედით და ცოტაოდენი მეგობრული გასაუბრების მერე, გადაშლილი ჟურნალი დამიდო წინ, თუ არ დაიზარებ, გადაიკითხეო.

სიამოვნებით გადავიკითხე. რამდენიმე დღის ამბავი ამოვიწერე კიდეც, მხოლოდ დავასათაურე და გადავწყვიტე მკითხველებს გავაცნო ამ შესანიშნავი, თავმდაბალი, უბრალო და მეტად შრომისმოყვარე ადამიანის ცხოვრების რამდენიმე დღის ამბავი.

#### კალოზე

გიორგი კალოზე შევიდა. თვალი მოავლო იქაურობას.

პატარ-პატარა გორებივით აზვინულან გაურჩეველი სიმინდის ტაროები. შავ და ჭრელ თავსაფრიანი ქალები ამ გორებთან სხედან და არჩევენ სიმინდს. ფარდულში გარჩეული ტაროების ბორცვებს აქაიქ ბეღურების გუნდები მისევია. ქალები დროდადრო თავსაფრებს აუქნევენ. აფრთხიალდებიან ბეღურები და ადგილს მოინაცვლებენ. გალაღებულან პატარა ჩიტები ბარაქიანი შემოდგომის ყვითელ კალოებზე.

გიორგი გაურჩეველი ტაროების ზვინზე წამოწოლილ ბიჭს წაადგა, გულაღმა გაშოტილა ბიჭი, მზის გულს მიფიცხებია და გაშლილ წიგნს ჩასცქერის. გიორგიმ წიგნის ყდაზე წაიკითხა: „დარვინიზმის საფუძვლები“.

— საწყობის გამგე სად არის, ბიჭო?! — ხმადაბლა მიაძახა გიორგიმ ყმაწვილს.

ბიჭი ზვინზე წამოჯდა. გიორგი რომ დაინახა, ფეხზე წამოიჭრა მაშინვე.

— არ ვიცი, ძია გიორგი, ახლა აქ იყო, — უპასუხა ბიჭმა.

— შენ რას აკეთებ?

— მამაჩემს ვეხმარები მანქანების გადმოცლაში.

— წიგნი?

— სანამ მანქანა მოვიდოდეს, გაკვეთილს ვკითხულობ.

ბიჭის თავზე ბეღურების გუნდმა გადაიფრინა. გიორგიმ თვალი გააყოლა გუნდს. მერე კვლავ ყმაწვილს შეხედა.

დგას გაურჩეველი სიმინდის ზვინზე ყმაწვილი. ორივე ხელით წიგნს ჩაფრენია; ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი მაღლიდან გადმოსცქერის გიორგის. გიორგის ისე მოეჩვენა, თითქოს ეს სიმინდის პატარ-პატარა ტაროები კი არა, შემოდგომის მაგარი მკლავებია, ბიჭი მაღლა აუტაცნიათ და მზის გულზე ათბობენ შავტუხა ყმაწვილს. „გაიხარე, გაიხარე, შვილო, თქვენთვის გვინდა წლის ყოველი მოსავალი, ღმერთმა შეგარგოთ“, — თავისთვის გაიფიქრა გიორგიმ.

გამყურებს გიორგი კალოზე დახვავებულ სიმინდის მოსავალს. არ ახსოვთ ასეთი უხვი მოსავალი თელეთელებს. გიორგის გული სიამაყითა და კმაყოფილებით ევსება.

წამიერი ფიქრი ისევ ბეღურების ფრთხიალმა შეუწყვიტა გიორგის. ჩიტებმა ისევ ბიჭის ხუჭუჭა ქოჩრიან თავს ზემოთ გადაიქროლეს.

გიორგიმ სიმინდის ტაროების ბორცვზე მდგარ ყმაწვილს შეანათა კვლავ თვალები და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ვინ იცის, ეს „დარვინიზმის საფუძვლებიანი“ ყმაწვილი რამდენ ახალ სიხარულსა და ბედნიერებას მოუტანს სოფელს!

#### მარნიაანთ მინდორი

ის იყო საწყობის გამგეც გამოჩნდა და გიორგიმ უთხრა, საჩქაროდ გადარჩეული სიმინდის ტაროები ფარდულში შეყარეთო, როცა ტრაქტორისტების ბრიგადირი შემოიჭრა კალოზე, ჭიშკრიდანვე გიორგისკენ წამოვიდა და თან ხმამაღლა მიაძახა:

— ტრაქტორები გაგვიჩერდა, — გიორგისთან შეჩერდა ბრიგადირი, — სათესლე გამოგველია, ველით და არავის მოაქვს.

— მანქანა გაფუჭდა. აკეთებენ, — თქვა საწყობის გამგემ.

— მანქანის გაკეთებას რას უყურებ, შე კაცო, ამ ღვთისნიერ ამინდში ტრაქტორებს კაცი მოაცდენს? — გიორგიმ გზა დაუთმო კალოზე შემოსულ სიმინდის ტაროებით დატვირთულ მანქანას, — ახლავე დაცალეთ ეს მანქანა და საჩქაროდ სათესლე აუზიდეთ მარნიაანთ მინდორზე.

მანქანა გადმოტვირთეს. გიორგი შოფერს მიუჯდა. საწყობთან მიაყენა მანქანა, ზედ სათესლე ხორბლით სავსე ტომრები დააწყვეს და მარნიაანთ მინდვრისაკენ გააქროლეს.

შავნაბადას ფერდზე მარნიაანთ პატარა სოფლის წინ, ზეგანზე, მინდორი გადაშავებულა. ვეებერთელა მინდორი სოფლისაკენ მიმავალ შარას შუა გაუყვია. გზაზე სამი ტრაქტორი დგას, რომელთაც სათესი მანქანები აბიათ. ტრაქტორისტები დროს უქმად არ კარგავენ, ზოგი ტრაქტორს წმენდს, ზოგი სათესლე მანქანას ჩაჰკირკიტებს.

ერთ შუახნის კაცს გზაზე ჩაუმუხლებია, ძირს დაყრილ ხორბლის მარცვლებს ხელით აჭუჩებს.

— აქ რად უნდა ეყაროს, ეს დალოცვილი!

ტომარაზე დაყრილი ხორბალი ნახნავში შეიტანა და ხელით მიმოაბნია ხნულზე.

მიცვივდნენ მანქანას ტრაქტორისტები და მათი დამხმარეები, სასწრაფოდ გადმოტვირთეს მანქანა. სათესებში ჩააპირქვავეს ხორბლით სავსე ტომრები.

— ე რა გვიყავი, გიორგი?! — მიმართა გიორგის ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ოთარ კენჭაძემ.

— რა გიყავით, ბიჭო?!

— რად გადაგვახნევინე ეგ მინდორი, სოფლის საქონელი სადღა წავიდეს?

— აგერ, შე კაცო, შავნაბადას კალთებზე განა ცოტა ადგილია. წელს ხორბალი დავთესოთ აქ, მერმის ვენახი ჩავყაროთ.

— ეგ კი არ იქნება ურიგო! — კვერი დაუკრა ოთარმა.

გამრჯე ახალგაზრდაა ოთარი. ორი ძმა ომში დაეკარგა. პატარა ოთარი გვერდში ამოუდგა ხელმოკლე მამას და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ტრაქტორისტობა ისწავლა და აგერ თოთხმეტი წელია ტრაქტორისტად მუშაობს. თორმეტი წელი მხოლოდ ერთ ტრაქტორზე იმუშავა და თორმეტი წლის განმავლობაში ოცდახუთი წლის გეგმა შეასრულებინა. „მერე პენსიაში გავუშვი ის ტრაქტორიო“, — გაიხუმრებს ხოლმე ახლა ოთარი. შარშან ორას ორმოცი ჰექტარის ნაცვლად ოთხასი ჰექტარი მოხნა და დათესა. ას ორმოც ჰექტარ ფართობზე სიმინდი ისე მოიყვანა, სხვა კაცის ხელი არ შეხებია ფართობს. საშუალოდ ოცდაათი ცენტნერი სიმინდი მიიღო ჰექტარზე.

— გიორგი, იმ ჩემს ფართობს რომ კომბაინი მიაყენე, ძირს დაცვენილი სიმინდი არ დამეკარგოს. — გადმოსძახა გიორგის აგუგუნებული ტრაქტორის საჭესთან მჯდარმა ოთარმა.

— ჯავრი ნუ გაქვს, — მიაძახა გიორგიმ, — სულ მარცვალ-მარცვალ ავაკრეფინებ.

ოთარმა ტრაქტორი დაძრა და ნახნავში შეუგუნდა. სხვა ტრაქტორებიც მას მიჰყვნენ.

გიორგი გზაზე დარჩა.

გზის მეორე მხარეს გადახნულ ფართობზე შევიდა. მიწას დააჩერდა. პირველად შენიშნა ახლა, რომ ჯეჯილი ამოწვერილა. ნაძვის ურიცხვი წიწვებივით ამოფეთქებულა მწვანე ჯეჯილი. წვიმებს რომ არ შეეჩერებინათ თესვა, ახლა იმ მეორე ფართობზეც ასე იქნებოდა. გიორგის ჩაეღიმა. რატომღაც ბავშვივით გაუხარდა პატარ-პატარა ბელტებს ამოფარებული მწვანე ჯეჯილის დანახვა.

შემოდგომაა. გარშემო ყველაფერი გადაყვითლებულია. აგერ კი თითქოს ნაადრევ გაზაფხულს თვალი გაუხელია ამ ნახნავებზე.

დაილოცოს მიწის ძალა! თუ მოუფერე და მოუარე, სიხარულით აგავსებს!

#### ჰერბიციდი

სიმინდი წელს თავიდანვე კარგი იყო. მაგრამ სარეველა რომ ძალზე მოერია ყანებს, გიორგიმ იფიქრა, მოდი ერთი გავსინჯო, როგორ შედეგს მოიტანს სიმინდის ყანაში ჰერბიციდიო. აქამდე მხოლოდ პურის ყანებში შეჰქონდათ თვითმფრინავებით ჰერბიციდი. ეხლა სიმინდის ყანებშიც ივარგოს.

გიორგიმ ეს აზრი უფროს აგრონომს ბაგრატ მუმლაძეს გაუზიარა. ამ ზაფხულს საცდელად ჯერ პატარა ნაკვეთი აიღეს. ჰერბიციდის სამმაგი დოზა შეიტანეს ყანაში. მალე კარგი შედეგიც დაინახეს: სარეველა სულ მთლად მოიხმო, სიმინდი კი არ დაზიანებულა. რაკი ასეთი კარგი შედეგი გამოიღო ამ ცდამ, სიმინდის მთელ ფართობებშიც თვითმფრინავით შეიტანეს ჰერბიციდი. ეს იყო თელეთელების დიდი გამარჯვება. რესპუბლიკაში პირველად მათ გამოიყენეს ჰერბიციდი სიმინდის ყანებში. ყანას უკვე ორჯერ გათოხნა აღარ სჭირდება. კულტივაციის შემდეგ ჰერბიციდები ხაფუეთესო საშუალებაა სარეველას მოსასპობად. თუ ერთი ჰექტარის გათოხნა ჯდებოდა ცხრამეტი მანეთი, ჰერბიციდის საშუალებით ჰექტარის დამუშავება ახლა ჯდება ორი მანეთი.

ეს ცდა ალბათ მალე მთელ რესპუბლიკაში ფართოდ დაინერგება.

• • •

გადავიკითხე დირექტორის დღიური.

ჟურნალი გიორგის დავუბრუნე. მან ის უჯრაში ჩადო.

მართლაც ღირსეულად წარსდგება გიორგი ყრილობის წინაშე.

ახალ დაპირებებს მისცემს ყრილობას.

მომავალ წელს კიდევ ბევრი კარგი ამბავი ჩაიწერება გიორგის დღიურების ჟურნალში.



კომბაინის საჭესთან




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (149) დეკემბერი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



# ძმობით ნაწრთობი მეგობრობა

მსოფლიო ჯერ ისევ ომის ცეცხლში იყო გახვეული. ჯერ კიდევ ომის ხანძარი გიზგიზებდა ჩვენს მიწაზე, როცა საბჭოთა მთავრობამ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება დასდო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასთან.

ეს იყო მრისხანე 1943 წლის მიწურულს. ჩეხოსლოვაკიაში ჰიტლერელთა ურდოები დათარეშობდნენ. ომის პირველი წლებიდან მძვინვარებდა პირსისხლიანი ჯალათი — გეიდრიხი, რომელიც სულ მალე ჩეხმა პატრიოტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. საპასუხოდ ჰიტლერელმა ბარბაროსებმა მთლიანად გაანადგურეს სოფელი ლიდიცე (კლადნოს მახლობლად), მაგრამ ტერორმა ვერ გატეხა ჩეხი და სლოვაკი ხალხების ნებისყოფა. სულ მალე იქ შეიქმნა პარტიზანული რაზმები, რომლებიც ჰიტლერელთა არმიის ზურგში მოქცეულ საბჭოთა პარტიზანების მხარდამხარ იბრძოდნენ. იმავე ხანებში საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ჩეხური პოლკები, რომელთაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს კიევის განთავისუფლებაში. საერთოდ, ჩეხოსლოვაკელთა საბრძოლო შენაერთები მედგრად იბრძოდნენ საბჭოთა ჯარების მხარდამხარ.

ზემოხსენებული ხელშეკრულება ნათლად გამოხატავდა ორი მეგობარი ქვეყნის ხალხების უდიდეს რწმენას გამარჯვებისადმი.

„როცა კაზაკის ცხენი ვლტავის წყალს დალევს, ევროპაში მშვიდობა ისადგურებსო“, — ამბობს ძველი ჩეხური ანდაზა; აქ ნათლად არის გამოხატული ის მეგობრობა და ურთიერთობა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ჩეხოსლოვაკიის ხალხებსა და რუს ხალხს შორის; მას შემდეგ, რაც ზლატა პრაღაში აფრიალდა თავისუფლების დროშა და ხალხმა ძალაუფლება თავის ხელში აიღო — მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და ჩეხოსლოვაკიას შორის კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. ფაშიზმზე დიადი გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ქვეყნები მხარდამხარ დადგნენ კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებლობის ხარაჩოებზე.

„ჩემს თვალწინ იზრდება ის, რისთვისაც ჩემს სამშობლოში ჩვენ მხოლოდ ვიბრძვით, ის, რაზედაც ჯერ მხოლოდ ვოცნებობთ“, — წერდა 1936 წელს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს იულიუს ფუჩიკი. დღეს ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ამ ოცნების ჭეშმარიტი ხორცშესხმაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი ერთ-ერთი პირველთაგანი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას და ახლა სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გეზშეუშლელად მიემართება კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ.

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს აერთიანებს არა მარტო თავიანთ შვილთა საერთო ბრძოლები, საერთო ჭრილობები და გამარჯვებათა სიხარული, არამედ ის დიდი იდეები და წინსვლის ის ფართო გზა, რომლებიც მათ აირჩიეს დედამიწის ყველა ხალხის ბედნიერებისათვის; ამ ნათელ გზაზე, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, მტკიცედ მიაბიჯებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა.

**შ. ქავთარაძე**



სიტყვა ჯერ ჩეხ ჟურნალისტს — პ. კეტნერს მივცეთ:

— ამ ბოლო წლებში — ამბობს იგი — ჩვენში ხშირად შეხვდებით ახლად შექმნილ ოჯახებს, სადაც არც ერთი ბავშვი არა ჰყავთ, სხვები — თითო ბავშვით კმაყოფილდებიან; თუ ორი ჰყავთ — ფიქრობენ, რომ ეს ძლიერ ბევრია, სამბავშვიანი ოჯახები ძალზე მცირერიცხოვანია, სამ ბავშვზე მეტი ოჯახში — ეს უკვე საკმაოდ იშვიათი გამონაკლისია.

ბევრი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ასე მსჯელობს; ჯერ ავტომანქანა შევიძინოთ და ბავშვზე მერე ვიფიქროთო. მერე ახალი მოთხოვნილებანი ჩნდებიან — ეს ტელევიზორით, ეს მაცივარი, ეს მაგნიტოფონი და კიდევ ვინ მოსთვლის! ბავშვს კი სულ ბოლოსთვის მოიტოვებენ ხოლმე!

მაგრამ აბა დააკვირდით აქ დაბეჭდილ სურათს — რამდენი შემოხვევიან დედას — ჩამოვთვალოთ ყველას სახელები: ბიჭუნები — პეპიკი და პეტრე, გოგონები — ილონა, ლიბა, განა და დანა, ესენი მოწაფეები არიან. სურათზე, მარცხნივ, კიდეში სულ პაწიები — იანა და ალენა სხედან. ისინი ჯერ ისევ საბავშვო ბაღში დადიან, თოჯინებით თამაშობენ და სჯერათ, რომ თოვლის პაპა ნამდვილად არსებობს. მაშასადამე, აქ რვა ბავშვია. მაგრამ ყველანი აქ როდი არიან — სულ უფროსი — ოცი წლის იაროსლავი ქუჩაზე მოტოციკლს დააქროლებს, საქალაქო შეჯიბრებისათვის ემზადება. მომდევნო ძმები — მილანი და ვლადი — სამუშაოდან არ დაბრუნებულან, ხოლო პავლე — ფეხბურთის მატჩზე გაიქცა. ერთი სიტყვით, თორმეტი და-ძმა იზრდება ამ ოჯახში, ექვსი ბიჭი და ექვსი გოგონა.

ოცდაერთი წელია, რაც ეს ოჯახი არსებობს, აქვთ სამოთახიანი ბინა — ერთ ოთახში ბიჭებსა სძინავთ, მეორეში — გოგონებს, მესამეს კი უნივერსალური დანიშნულება აქვს — ის საბავშვო ბაღიც არის, სასადილოც, საკლასო ოთახიც, სასტუმროც — ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთად. უფროსები უმცროსებს ეხმარებიან გაკვეთილების მომზადებისას, დედა კი საერთო ზედამხედველობას უწევს ყველას. ბავშვები აქ მღერიან, კითხულობენ, ჰყვებიან, რაც იმ დღეს ნახეს, და, რასაკვირველია, აქვე სადილობენ და ვახშმობენ. დედა პურს რომ მოიტანს ხოლმე სუფრაზე — უმალ გააქრობენ, თორმეტივე ბარტყს მშვენიერი მადა აქვს.

ამ ბავშვების დედა — ელენა ამჟამად ორმოცი წლის ქალი გახლავთ. თორმეტივე შვილი გამგონე და დედ-მამის მოყვარულია, დედას ხანდახან სიტყვის თქმაც არ სჭირდება — თვალებზე მიუხვდებიან ხოლმე რის თქმა სურს. აი, პეპიკი ეზოსაკენ გარბის:

— პეპიკ, დღეს გაკვეთილი არ გისწავლია! ორი საათის შემდეგ სახლში უნდა იყო.

და ბავშვიც ძირს არ დაუშვებს დედის სიტყვას.

ვის წინაშეც წამოიჭრება კითხვა — ვიყოლიოთ თუ არა რამდენიმე ბავშვი? ჰო, თუ არა? — დაე, დააკვირდეს ამ მშვენიერ ოჯახს და დასკვნა ამის შემდეგ გამოიტანოს.

* * *

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამეგობრო ხელშეკრულების ოცი წლის თავზე ჩვენ ვარჩიეთ ეს ოჯახი გაგვეცნო ჩვენი მკითხველებისათვის. ამ საზეიმო დღეს გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს ჩეხსა და სლოვაკ მეგობრებს და ვუსურვებთ ყოველი მათი ოჯახი ასე ბედნიერი და ბავშვებით სავსე ყოფილიყოს!



## იგავები

### მამალი

— თენდება? ეს შეუძლებელია! მე ხომ ჯერ არ მიყივლია!

### პესიმისტი

— მაშ, თქვენი აზრით, გაზაფხული მოვა? ჩემო კარგო, თქვენ ოპტიმისტი ყოფილხართ!

### საერთაშორისო შეთანხმება

ჩვენ, კურდღლებმა მივაღწიეთ შეთანხმებას ქათმებთან იმის თაობაზე, რომ შესაჭმელად თავს არ დავესხმით ერთიმეორეს. საინტერესოა რას ფიქრობს ამაზე ქორი?!

### მგელი

— დახეთ, რა ვერაგი ყოფილა ეს ცხვარი! წარმოიდგინეთ მას უნდოდა, რომ მიმალულიყო და მე ვერ დამენახა.

### მგელი და თხა

— მოდი, მივაღწიოთ შეთანხმებას ეკონომიურ საფუძველზე: მე პირს არ მივაკარებ შენს ბალახს, სამაგიეროდ შენ ნებაყოფლობით დამითმე შენი ხორცი.

### გომბეშო

— პროგრესი?! რასაკვირველია, პროგრესი არსებობს. მაგალითად, ოდესღაც მე მხოლოდ თავკომბალა ვიყავი.

### ჯირკი

— თქვენ ამბობთ, რომ მე ადგილიდან არ ვიძვრი? სამაგიეროდ არც ფეხს წამოვკრავ რასმე.

### ბელურა

— ხედავთ რა ჟივილ-ხივილი გვჭირდება, რომ გაზაფხული დადგეს?



# ნააკვნარი

**ზურაბ ლორთქიფანიძე**

კვლავ უცნაური სიძლიერით თვისკენ მეძახის,
ის ნააკვნარი საოცნებო, იდუმალ სახის,
რაღა თქმა უნდა, სიყვარული მალაპარაკებს, —
ვეხვევი ბუჩქებს, მწიფე მაყვლით ნახლართ
ჭალაკებს.

ეს კუთხე ბრწყინავს უქრობელი, ნათელი სხივით,
მიმიჩნევია დედამიწის ოაზისივით.
მიტომ, რომ გულით, აღტკინებით, ღონიერებით,
აქედან ვებრძვი, ვეხეთქები ქვეყნიერებას.

რა ვუყოთ მერე იმ მიდამოს თუ ვერ შემოვრჩი,
რაც მთავარია, ყოფნა მახსოვს იმ მიდამოში.
ჩამფესვებია სიყვარული ძელქვის ფესვებით,
ჩამკვესებია კლდეზე მეხის ჩამოკვესებით.

მივხალისობდე, სადაც გინდა მივმწუხარობდე;
დაუმადლებლად სანთელს მინთებს მინდვრის ხაოზე,
სადაც არ უნდა ვიძინებდე შორს განატყორცნი,
სასთუმლადა მაქვს ჩემი სოფლის პატარა ბორცვი.

ქვეყნების მოვლას ჯერჯერობით ვერ დავიჩემებ,
თუმც გზა ხსნილია საჰაერო, საოკეანე,
სალამი პირველ გამარჯვებულთ, პირველ გზის
მჭრელებს,
წაუფარიათ ფართო მხრებზე ცა მოკრიალე.

არიან კიდევ უგმირესნი, უმამაცესნი,
უპირველესნი, ვარსკვლავებში გზების მაცნენი,
ყოველივე ამ ვაჟკაცობას, დიად გაბედვას,
ბიძგს აძლევს მუდამ ნააკვნარი, ადგილის დედა,

წყნარ მდინარეზე ქამანდივით ნასროლი ბონდი,
ის ადრინდელი სათამაშო ნავების პორტი.
მიამიტობით, ეშხიანად მიმიხმობს ღამით,
გასახელავი სიმინდები ნიავის ჩქამით.

სიმაღლეებში გასატყორცნად გამონაგონი —
იქაა ჩემი შემაღლება და პოლიგონი.

# ნაცრისფერყდიანი რვეული

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს თეთრი შენობის ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს მწვანე ნარგავებში ჩაფლული, ლიანდაგებით დასერილი ეზო. ეზოს იქით გოლიათებივით ჩამწკრივებულან მარტენის ღუმელები. ირგვლივ ცაში აწვდილი მილების ტყეა.

ამ ქარხანაში უკვე რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობს რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების ტექნიკური საბჭო, რომელმაც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

„ტექნიკური აზროვნების საბჭოში" ოცდაათზე მეტი წამყვანი ინჟინერი და ტექნიკური მუშაკია გაერთიანებული. ამ შრომისმოყვარე, მუდამ ახლის ძიებაში გართული ადამიანების უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გუშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მერხზე იჯდა, საწარმოში მოსვლის შემდეგ კი საიმედოდ ამოუდგა მხარში უფროსებს. ახალგაზრდული გზნებით, მთელი გულისყურით მოეკიდა საქმეს და აკი გამოცდილ სპეციალისტებსაც აღარ უდებს ტოლს.

მთელს მათს საქმიანობას სათავეში უდგას ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ქურდიანი.

როცა ქარხნის მოწინავე ადამიანებზე ჩამოაგდებთ სიტყვას, ისე როგორ იქნება, რომ პირველთა შორის ინჟინერი ალექსანდრე გავთიანი არ მოიხსენიოთ. აბა ვინ მოთვლის, წლების მანძილზე რამდენი უძილო ღამე გაუტეხია თეთრად ალექსანდრეს, გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან ერთად რამდენი უფიქრია, რამდენჯერ დაუზუსტებია ნახაზები.

გავთიანის ხელში გაიარა და წარმოებაში დაინერგა ათობით ძვირფასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც ასეულ ათასობით მანეთის ეკონომია მისცა ქარხანას.

ბიუროში ათასგვარი ნახაზების, ჩანახატებისა და სქემების გვერდით ფაქიზად ინახება ერთი დიდი, ნაცრისფერყდიანი რვეული. ის რვეული ქარხანაში დანერგილი ყველა გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების მატიანე გახლავთ.

ყურადღებით ათვალიერებთ ამ რვეულს და აღტაცებას ვეღარ ფარავთ. ერთმანეთის მიყოლებით ეცნობით საქმიან წინადადებებს, ძვირფას რჩევებს, მახვილგონივრულ გამოგონებებს, ეცნობით და თქვენს წინაშე თითქოს ნათლად ცოცხლდება ქარხნის მოწინავე ადამიანების უძილო ღამეები, მათი დაძაბული შრომა და ძიება.

ამ ნაცრისფერყდიანი რვეულიდან მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ.

გასულ წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ს. შარაშენიძემ, ინჟინრებმა პ. ჩიტაშვილმა, ნ. გილაურმა და სხვებმა ხელი მოჰკიდეს ცივად გლინვის დგანის ჰიდროსისტემის მექანიზმის რეკონსტრუქციას.

ეს დანადგარები ქარხანამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო, მაგრამ საწარმოო ხარვეზების გამო მათი გამოყენება ვერ მოხერხდა. სპეციალურმა საექსპერტო კომისიამ მანქანები უვარგისად ცნო. ამ გარემოებამ გული როდი გაუტეხა რუსთაველ სპეციალისტებს. ისინი ჩვეული მონდომებით მოეკიდნენ საქმეს და მალე სასურველ მიზანსაც მიაღწიეს. რეკონსტრუირებული მანქანების წარმოებაში დანერგვამ სახელმწიფოს 120.027 მანეთი დაუზოგა.

...1962 წლამდე ქარხანაში მწყობრიდან გამოსული სპეციალური თუჯის ქვაბების სამტვრევი კუტის ჩამოსხმა მიწაში წარმოებდა. ნიადაგში ჰრიდნენ სპეციალურ ღუმელს, რომელსაც გამდნარი ფოლადით ანდა თუჯით ავსებდნენ. გაცივების შემდეგ სხმულს მიწას აცლიდნენ და 5-6 ტონიან ბურთისმაგვარ კუტს იღებდნენ. სპეციალური მაგნიტური ამწეების დახმარებით ამ კუტით ამსხვრევდნენ მწყობრიდან გამოსულ თუჯის ქვაბებს.

კუტის ამ წესით დამზადება მეტად დიდ დროხა და შრომას მოითხოვდა. გარდა ამისა, მიწაში ჩამოსხმული კუტის ზედაპირი ხშირად უსწორმასწორო და არა გლუვი გამოდიოდა. ზედაპირის შემდგომი დამუშავება კი ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა.



დაძაბული წუთები საამქროში.

ქარხნის ახალგაზრდა ინჟინრებმა ა. საგანელიძემ, ვ. გურულმა და მათმა მეგობრებმა გადაწყვიტეს შეეცვალათ კუტის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი. მათ კუტის ჩამოსხმა დაიწყეს ლითონის სპეციალურ ყალიბებში, რომლებსაც ფოლადისაგან ამზადებენ. ასეთი წესით მიღებული კუტი აღარ საჭიროებს ზედმეტ დამუშავებას. მისი ზედაპირი უფრო მტკიცე და მაღალი ხარისხისაა. კუტის ჩამოსხმის ახალმა მეთოდმა სახელმწიფოს წელიწადში 2.633 მანეთის ეკონომია მისცა.

რუსთაველი გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების წარმატებები უმალ მოედება ხოლმე მთელს ჩვენს ქვეყანას. ყოველი საქმიანი წინადადების, ყოველი მნიშვნელოვანი გამოგონების შესახებ ტექნიკური საბჭო დაუყოვნებლივ აცნობებს სხვა საწარმოებს. რუსთაველ ინჟინრებსა და ტექნოლოგებს, საამქროს ოსტატებსა და მოწინავე მუშებს ხშირად შეხვდებით ქუთაისში, მაგნიტოგორსკში, სუმგაითში... მოწინავე საწარმოთა მუშაობის გაცნობა, საქმიანი მიმოწერა, ტექნიკური დოკუმენტაციის ორმხრივი გაცვლა საშუალებას იძლევა ერთი კოლექტივის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევა ყველას საკუთრებად გადაიქცეს, საერთო წარმატების მტკიცე საფუძველი გახდეს.

სუფთა, კოხტად ნაწერი სტრიქონებით თანდათან ივსება ნაცრისფერყდიანი რვეული. ძვირფას რჩევას ახალი წინადადება და გამოგონება ემატება, უფრო მეტად მოქნილი, აწყობილი ხდება მთელი ქარხნის მუშაობა.

ტექნიკური პროგრესი ერთ-ერთი მძლავრი ლოკომოტივია კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რაციონალიზატორები და გამომგონებლები კი ნაცადი მემანქანეები არიან, რომლებიც საიმედოდ მიაქანებენ წინ ამ ლოკომოტივს.

ა. აბესაძე





ვენზე ამბობენ:
მოდუდუნე მდინარეაო.
ამბობენ, თითქოს მე კი არ მეთქვას...
მაგრამ საქმე ხომ
თქმაში არ არის, —
გულს ნუ გაიტეხ აგრე უბრალოდ!..

აბა, პანკისის ხეობაში
შეგასწრონ თვალი
შენი ტალღების მაყრიონითა,
თუ არ აღმოხდეთ უცაბედად
მნახველებს შენსას:
ეს რა თერგივით მოგრიალებსო...

ჩვენში ჩიტების საბანაო
ნაკადულებიც
თერგს ედრებიან ყოველ გაზაფხულს, —
ალაზანი რომ
ზაფხულშიაც თერგივით ჰქუხდეს,
აქ არც სიცრუე, არც ტრაბახია!...

და თუ კახეთის
უბერებელ, მზიან ველებზე
გაბრუებული მიირწევი და მიდუდუნებ,
მშვენიერება
უფლებათა უფალია და,
ო, ალბათ, ალბათ
მის უფლებას ემორჩილები...

მაგაზე მეტი ხადარდელი
ნუმც გაგჩენოდეს,
გასწი, იარე, როგორც გივლია!
ვინც არ დამთვრალა
შენი გრგვინვით, შენი ქუხილით,
დაე პანკისის ხეობაში
გესტუმროს იგი!..





ჯაჩანაზე საუბრობენ ორნი,
ერთს პატარად ეჩვენება,
მეორეს კი — დიდად...
აქ მესამე
ხმას იმაღლებს თრთოლვით,
თამადაა! —
მოდავეებს აღარ დაერიდა:

დიდია თუ პატარაა, შვილოსან,
მაინც მუხის ნაფოტია,
ჩვენებური მუხისა...
გაუმარჯოს
ქართულ სიტყვის მშვილდოსანს, —
მის თვალებშიც
საქართველოს
ჩაძირულა მუქი ცა!...

**ჩემს მანანას**

სულაც არ ჰგავდა თბილისურ ზამთარს,
მე რომ ზამთარი ვიხილე მაშინ;
ყინულის ყდაში ისხდნენ ქუჩები,
ჰყვაოდა ყინვა ფანჯრის მინებზე.
ყინულში იჯდა რუსთველის ქუჩაც
და სამარხილოდ გასარკულიყო;
მოვსულიყავი შენთან მარხილით,
ალბათ ურიგო არ იქნებოდა...
შენ ხომ სიცოცხლე იყავი ჩემი —
ქარიშხლის შემდეგ დაბადებული,
ღირდა, მარხილის ზარს თუ ზანზალაკს
გაგიჟებამდე ეულერა შენზე...
მაგრამ ეხ, სახლში წამოსაყვანად
მე ზარ-ზეიმით როდი მოვედი;
ფეხთ ჯარისკაცის მეცვა ჩექმები
და ჯერ ფარაჯაც არ გამეხადა...
ფეხთ ჯარისკაცის მეცვა ჩექმები —
საგულდაგულოდ ნალდარტყმულები,
თუმც წელიწადი იყო გასული,
რაც მე თბილისის ჰაერს ვსუნთქავდი...
ჰა, კიბეები მარმარილოსი
ამოვირბინე სულმოუთქმელად
და მეთვალყურე — კართან მთვლემარე
მოგვიანებით აძრახდა დაბლა.
წინ რომ თვით ღმერთიც გადამდგომოდა,
ჩემს დაბრუნებას ვეღარ შესძლებდა;
ახლა პარკეტის ატყდა ჭრიალი
და გაალმასდა ღამის მორიგე:
— ფრთხილად იარე, რკინის ქუსლებით
ნუ გაგვიოხრე დერეფანიო...
მერე კი დატკბა, დაცხრა, დამშვიდდა
და განთიადის ღიმილად იქცა...
წამოგიყვანე... ცივ კაბინაში
სუნთქვით ვადნობდი ყინვის ნაკვალევს, —
და ჩემთან შენი დამბადებელიც
საკუთარ სუნთქვით ჰფანტავდა ყინვას.
ლამპიონების ჩახჩახა შუქზე
სარკეებივით ჩანდნენ ქუჩები, —
და სარკეებში, იმ სარკეებში
თეთრ ბაფთებიანს გხედავდი უკვე!...



ერთი კაცური ამოსუნთქვა და
თვე მეთორმეტე გათავდა კიდეც, —
და წელიწადი შენს ცხოვრებაში
ვითომც ყოფილა...
და არც ყოფილა...

შენივე თავით უკმაყოფილო
ცას გაუშტერებ სევდიან თვალებს:
მიირწევიან ქარავანები
სივრცეში ჩანთქმულ მნათობებისა...
და გესმის თითქოს ზანზალაკების,
ზანზალაკების ხმა შორეული,
ვით მყინვარებში
ცივი წკარუნი
დაცურებული წრიაპებისა...
მაგრამ სხვა სივრცის იხსნება კარი,
როს წარმოიდგენ არწივის მართვეს,
მართვეს, რომელსაც ერთ წელიწადში
უბუმბულო და
ულონო ფრთები
ისე საოცრად უმკვრივდება და
ისე საოცრად უზორბავდება,
რომ რია-რიით აღმა წასული
იგი ღრუბლებზე მაღლა ბოინობს, —
და მზესთან ერთად იხდის ზეიმსა!...
ნეტამც ასეთი
ლტოლვა და სწრაფვა
დაჰკვებებოდეს ყველა ჩვენთაგანს,
მაშინ წელიწადს ხანმოკლეობით
ხომ არასოდეს დავიწუწუნებდით?!

# ახლაც არ გამოუცვლით სახელი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი ჩიმაკაძე**

### დასაწყისისათვის — ერთი ციტატა

„თავის შესანიშნავ სიტყვაში 1962 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად დასახა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოთა შექმნა, რითაც აგრონომები, სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები და ზოოტექნიკოსები უშუალოდ დაუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აწარმოებენ. მე საკუთარი თვალით ვნახე გურჯაანში, თუ რა საუცხოო შედეგები გამოიღო ამან. ამ სამმართველოში ოცდაექვსი სპეციალისტია, რომლებიც მოწოდებულნი არიან საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ ოთხ საბჭოთა მეურნეობასა და ოცდაექვს კოლმეურნეობას. მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორია სულ 113.000 ჰექტარს შეადგენს, ე. ი. ფრანგული დეპარტამენტის დაახლოებით მეხუთედ ნაწილს. მაშასადამე, ამ პროპორციის მიხედვით თვითეულ ჩვენს დეპარტამენტში ას ოცდაათი სპეციალისტი უნდა გვყავდეს. ამას უნდა დავუმატოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა უშუალო ხელმძღვანელებიც, რაც ამ რიცხვს ას სამოცამდე გაზრდიდა. ჩვენ კი ძალზე დაშორებული ვართ ასეთ შესაძლებლობას! აღმოსავლეთ საქართველოში, — და ალბათ ასეა ყველგან, — ბრიგადირთა დიდი უმეტესობა ან უკვე დიპლომიანი აგრონომია, ან არადა ორ-სამ წელში მიიღებს დიპლომს დაუსწრებელი სწავლების მეშვეობით. ეს ახლებური სტრუქტურა აგრონომის ცოდნას უშუალოდ საწარმოო უბანს ახმარს".

ნარკვევის დაწყება ესოდენ ვრცელი ციტატით საერთოდ არ არის მიღებული, მაგრამ ამჯერად ეს აუცილებლად მივიჩნიეთ. იგი ეკუთვნის საფრანგეთის ეროვნული აგრონომიული ინსტიტუტის პროფესორს რენე დიუმონს. ამას წინათ მან ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ფრანგულ ჟურნალ „France URSS"-ში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის წარმატებებზე.

### სკამჯოხიანი კაცი

ოქტომბრის ჩვეულებრივი დილა იყო. სასტუმრო „თბილისის" წინ გამვლელთა ყურადღებას იქცევდა სკამჯოხზე ჩამომჯდარი, თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ მკვირცხლი, მხნე შესახედაობის სანდომიანი სახის მოხუცი. აშკარად ჩანდა: იგი კმაყოფილი იყო იმით, რომ ასეთი სენსაცია გამოიწვია თავისი სკამჯოხით. ეს უკანასკნელი კი ძალზე მარტივი რამ იყო: უბრალო ჯოხი, რომლის ზემო ნაწილზე დამონტაჟებული იყო ქალის უნაგირის მსგავსი ორად დასაკეცი დასაჯდომი; დაკეცვისას იგი ჯოხის გაგრძელებას ქმნიდა — სახელურის ბოლოს ყავარჯნად იქცეოდა. კოსმოსური რაკეტებისა და საპლანეტთაშორისო ხომალდთა სამშობლოს მკვიდრთა ასეთი რამით გაკვირვება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, მაგრამ გამვლელნი მაინც აკვირდებოდნენ მას.



— მთელი ჩემი სიცოცხლის თითქმის ნახევარი მოგზაურობაში გავატარე. პროფესიით აგრონომი ვარ, უფრო ზუსტად თუ გნებავთ, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დოქტორი. მოვიარე დედამიწის ყველა კონტინენტის ორმოცდაცხრამეტი ქვეყანა. საბჭოთა კავშირი მესამოცეა, მალე მეც სამოცი შემისრულდება, ასე რომ ეს მოგზაურობა საიუბილეოდ შეიძლება ჩაითვალოს. ეს სკამჯოხი კი უნდა მომიტევოთ. უამისოდ ალბათ ერთ დღესაც ვერ გავძლებ. მოგახსენებთ, ჩემი პროფესიის გამო, ხშირად მიხდება ღია ცის ქვეშ ყოფნა, სადაც ყოველთვის როდია შემოსათავაზებლად სკამი და მეც, მასპინძელი რომ არ შევაწუხო, ჩამოვჯდები ამ სკამჯოხზე, მუხლებზე რვეულს გადავიშლი და ვიწერ შენიშვნებს. ყოველ წელს რვეულებს ახალ ნუმერაციას ვუკეთებ. ამ დილას ჯიბეში № 134 რვეული ჩავიდე...

ამასობაში „ვოლგაც" მოადგა სასტუმროს.

— ხომ არ ინებებდით კახეთში გამგზავრებამდე ქალაქს გაეცნოთ, როგორც იტყვიან, ერთი თვალის გადავლებით?

— გმადლობთ. არ კი გაგიკვირდეთ და მე საერთოდ არ მიყვარს ქალაქების დათვალიერება. თუმცა თქვენს დედაქალაქს დღეს დილაადრიან აი იმ ზემო გორაკიდან გადავხედე, ეს მანამ მოვასწარი, სანამ ჩემს მოსკოველ თანამგზავრს ჯერ კიდევ გულიანად ეძინა ნომერში...

მანქანა ქალაქს გასცდა და კახეთის შარაგზას გაჰყვა. შორს, ცის ბაც სილურჯეში კავკასიონის თეთრჩაჩქნიანი ქედები კრთიან.

— განთიადისას ისინი ალბათ უფრო ლამაზია დასანახად, — ამბობს სტუმარი და ჩვენს თანამგზავრს — საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს აგრონომს ზაქრო სიბაშვილს მიმართავს, — ეს ქარსაცავი ზოლი კარგი რამ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ უფრო სარფიანი იქნებოდა ზეთისხილის, ნუშის ან კაკლის ხის ნარგავები. აქაურობა ძალზე ჩამოგავს სიცილიას, ესპანეთს, სამხრეთ საფრანგეთსა და მაროკოს. საერთოდ რატომღაც თქვენს მხარეში გზატკეცილებს ნაკლებად ამშვენებს ხეხილი, ეს კი, დეკორატიულობის გარდა, ფრიად სასარგებლო რამ არის. მოგაგონებთ, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში გზათა მეურნეობის ხარჯებს სწორედ გზატკეცილების გასწვრივ დარგულ ხეხილის შემოსავლით ინაზღაურებს სახელმწიფო. ჩემი თანამემამულე შარდენი კი, რომელიც სამასიოდე წლის წინათ იყო თქვენში, ამბობს: საკმარისია ამ კურთხეულ მიწაში ჯოხი ჩაასოთ, რომ მალე ფესვებს გაიდგამს და მსხმოიარე ხედ იქცევაო. სხვათა შორის, იგი აქაური ხილის გემოს ძალზე აქებს, ხოლო ღვინოზე კი დასძენს: იგი იმდენად მაგარია, რომ უფრო სასიამოვნო სასმელია, თუ დალევის წინ ოდნავ წყლით შეანელებთო მის სიფიცხეს.

მივუახლოვდით პატარძეულს. სტუმარი გვეკითხება სოფლის სახელს.

— პატარძეული! ჩვენი სახელოვანი სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე აქაურია, — დაგვასწრო შოფერმა და შემდეგი სტრიქონები გაიხსენა:

მინახავს ძალზე ბევრი ქვეყნები
და ქალაქები ათასეული,
მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა,
ჩემი პატარა პატარძეული!

— სწორედ ასე ჩავიწერ და თანაც დავძენ, რომ ჩვენში მარტო შოფერი კი არა, არამედ ინტელიგენტთა უმეტესობაც თუ ძნელად დაგისახელებს არა მხოლოდ თანამედროვე ფრანგი პოეტების, — ვთქვათ ლუი არაგონის ან პოლ კლოდელის დაბადების ადგილს, არამედ თვით გასული საუკუნის საქვეყნოდ ცნობილ ფრანგ კლასიკოსებზედაც ძალიან ცოტა რამ იციან. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირში ხშირად შემხვედრია შოფერი, რომელსაც როცა ხელში საჭე არ უჭირავს, ზის არხეინად თავის ადგილზე და წიგნს ჩაკირკიტებს. ასეთ რამეს ევროპაში ძნელად თუ შეხვდებით.

## დოღში ერთი ცხენი მაინც ჩამორჩება

გურჯაანელი მასპინძლები გულღიად შეხვდნენ სტუმარს.

—სხვა გზა არა გაქვთ, უნდა მოგვიტევოთ, რომ ამ გახურებულ რთველზე ძვირფას სამუშაო დროს გართმევთ. მაგრამ მე საფრანგეთიდან „საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის" საზოგადოებამ მომიწვია, ხოლო იქიდან „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ასოციაციამ" დამილოცა გზა. ასე რომ, ორი მეგობარი საზოგადოების სახელით მოგმართავთ და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ თავათ საბჭოთა კავშირის დიდი ხნის მეგობარი ვარ და ერთ საათზე მეტს არ მოგაცდენთ, მაშინ... — დაიწყო სტუმარმა წმინდა ფრანგული ზრდილობიანი სილაღით.

საუბარი იმთავითვე ცოცხლად წარიმართა. მასპინძლებსა და სტუმარს ერთმანეთი აშკარად მოეწონათ.

სტუმარმა ხალისიანად განაგრძო:

— ახლა კი ნება მიბოძეთ სამუშაო მოგთხოვოთ: ვიცი, რომ საქართველოს ულამაზეს კუთხეში, კახეთში ვარ. ისიც ვიცი, რომ ეს მხარე საუკეთესო ქართული ღვინოების საქვეყნოდ ცნობილი სამშობლოა. აქ ჩამოსვლამდე მევენახეობა-მეღვინეობას საკმაოდ გავეცანი მოლდავეთში. ჩემი სურვილია, თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, ამ რაიონში გავეცნო მარცვლეულის კულტურებსა და მეცხოველეობას.

— სიამოვნებით, მაგრამ ამ რაიონში მთავარი დარგი მეურნეობისა მევენახეობა-მეღვინეობაა. მარცვლეულსა და მეცხოველეობას კი მეზობელ რაიონებში ენიჭება უპირატესობა. თქვენ, რამდენადაც ვიცი, ორი დღე რჩებით საქართველოში. გთავაზობთ არცთუ ისე ცუდ გამოსავალს. მოლდავეთი მოლდავეთია, საქართველო კიდევ საქართველო. გაეცანით მევენახეობას ჩვენს რაიონშიც. გზადაგზა მარცვლეულ კულტურებსა და მეცხოველეობის ფერმებსაც ნახავთ, რადგან თითქმის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა საკმაოდ მისდევენ როგორც ერთს, ისე მეორე დარგსაც. ხოლო თუ დრო ნებას გაძლევთ და ორიოდე დღესაც დარჩებით ჩვენში, ჩვენ თვითონ მიგაცილებთ იმ რაიონებამდე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ, თუმცა აქვე უნდა დავძინო: უვენახოდ და უღვინოდ ვერსად ძლებს ქართველი კაცი. რას იზამ, ასეთია მისი ბუნება და საუკუნეობრივი ტრადიცია.

— კეთილი და პატიოსანი. ვრჩები ამ რაიონში. მხოლოდ ერთი პირობით. მინდა შევისწავლო ერთი მოწინავე კოლმეურნეობა, ერთი ან ორი საბჭოთა მეურნეობა და ერთიც ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. არ კი გეწყინოთ, ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ ამ რაიონში ჩამორჩენილი კოლმეურნეობა გაქვთ; აღმოსავლური ანდაზის თანახმად, დოღში ერთი ცხენი ყველაზე უკან რჩება ხოლმე, თუმცა ისიც გარბის და, მოგეხსენებათ, დოღში ცუდ მორბენალს არ გამოიყვანენ.

გადაწყდა სტუმარი წაგვეყვანა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში, წინანდალში ღამე გაგვეთია, ხოლო მეორე დღეს ვწვეოდით ვაზისუბნისა და არაშენდას (ასე ვთქვათ, „ჩამორჩენილ") კოლმეურნეობებს.

## ეს ღვინო მკვდარს აუდგამს ენას

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში ნაშუადღევს მივედით. საუბარი ორგანიზაციული საკითხებით დაიწყო. შემდეგ სტუმარმა დაათვალიერა ღვინის ქარხანა, მეცხოველეობის ფერმა, ზვრები და ნაკვეთები. ამასობაში სადილობამაც მოატანა. მეურნეობის დირექტორმა შაქრო უზუნაშვილმა სადილად თავის ოჯახში მიგვიწვია.

— ქართული სუფრის მადლსა და ბარაქაზე, მის ლაზათზე ბევრი რამ მსმენია, ჩვენც, ფრანგებს, პურად ხალხს გვეძახიან, მაგრამ ჩემი მეგობარი ბარონი ლე რუა, რომელიც შარშან თქვენი რესპუბლიკის სტუმარი იყო, მეუბნებოდა აქეთკენ გამომგზავრებისას და ახლა მეც ვრწმუნდები, რომ ეს მართლაც კარგი ჩვეულება გქონიათ. პურს ყველგან სჭამენ, ღვინოსაც ბევრგან სვამენ, მაგრამ ქართული პურ-მარილი შექცევაა და თქვენებურ პურადობას თავისებური, განუმეორებელი ზეიმის ელფერი დაჰკრავს. ეს უეჭველად იმიტომ, რომ თქვენ იცით მიწის ყადრი. ტყუილად ხომ არ გიწოდებენ ევროპაში გეორგიანელებს. გეო მიწას ნიშნავს, ხოლო ჩვენებურად, ფრანგულად, ჟორჟიენ — მიწის შვილს ნიშნავს და თქვენში ყველაზედ უფრო გავრცელებული სახელი გიორგი, ჩვენებურად ჟორჟ, ამავე სადაურობის მაჩვენებელია. მე, რა თქმა უნდა, ლინგვისტად ვერ გამოვდგები, მაგრამ ნიჭიერ დამწყებ ფილოლოგს თქვენი სადაურობის სემანტიკის მეცნიერული დადგენა სადოქტორო ხარისხს მოუტანდა. ახლა ცოტა რამ ქართულ ღვინოებზე. სამწუხაროდ ღვინის მსმელი არა ვარ, მაგრამ თუ კვეხნაში არ ჩამომართმევთ, დეგუსტატორად კი გამოვდგები. აი ეს ღვინო, — სუფრაზე გარინდულ დოქებიდან ხშირად რაკრაკით ივსებოდა სასმისები და ყანწები ქინძმარაულით, — თავისი ბუკეტით იშვიათი რამ არის. მე თქვენეულ შამპანურსაც კარგად ვიცნობ. იგი ჩვენსას არ ჩამოუვარდება, მაგრამ აქ ყველაზედ ცუდი ის არის, რომ მისთვის უცხო სახელი შეგირქმევიათ. მე ამას არ ვაკადრებდი ქართულ ღვინოს. იგი სულ სხვაა და ღირსია საკუთარი, ქართული სახელისა. აბა რა გამოვიდოდა, უწინარეს ყოვლისა, რა მოუვიდოდა ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, რომ ჩვენებურ ბორდოსთვის მისი აქაური თანამოძმის სახელი „წინანდალი" მიგვეკუთვნებია. ჩემის აზრით, გეოგრაფიული სახელები, ისევე როგორც ადამიანთა საკუთარი სახელები და, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, ღვინის ადგილობრივი დასახელება საავტორო ორიგინალობის უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. წეღან ვთქვი, რომ ჰუმანიტარული განათლება არ გამაჩნია, მაგრამ მაინც ძალზე გამიკვირდა, როცა საკავშირო რადიოს მუშაკისაგან — გალპერინისაგან, რომელიც თან მახლავს და აქ, გვერდით მიზის, გავიგე, რომ ფრანგული ლუი რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში ამ სახელის გერმანული შესატყვისიდან, ალბათ ლუდვიგიდან გადმოუღიათ და თანაც იტალიურად გაუხმოვანებიათ. ჩვენ ჩვიდმეტი თუ თვრამეტი მეფე ლუი გვყავდა, მაგრამ მათგან არც ერთი არ ყოფილა ლუდოვიკო. ეს ისე, ანალოგიისათვის მოგახსენეთ. თანაც ფრანგები საშინლად ყბედები ვართ საერთოდ და, მაშასადამე, მეც ლაპარაკი მიყვარს. გარდა ამისა, ეს ღვინო მკვდარს აუდგამს ენას...

## და კიდევ რაღაც, რომლის გამოთქმაც არ ძალმიძს

წინანდლის საბჭოთა მეურნეობას რომ მივადექით, ალაზანზე უკვე დაისი ეშვებოდა. ეზოში ღვინის ქარხნის დირექტორი არჩილ უთიაშვილი გველოდებოდა. საყვედურით შეგვეგება დაგვიანებისათვის.

სტუმარმა თავი ქართული სუფრის ტრადიციულობით იმართლა.

— თქვენმა მეზობელმა უზუნაშვილმა არ გამოგვიშვა და ბრალი იმას მოკითხეთ! სახელდახელოდ დავათვალიერეთ იქაურობა. სტუმარმა შეამჩნია, რომ დირექტორი







ვახშმის თადარიგის დაჭერას აპირებდა და შემეხვეწა დამერწმუნებინა მასპინძელი, რომ ვახშამს, — მით უმეტეს ახლახან ავდექით მეფის საკადრისი სუფრიდანო, — საერთოდ დაჩვეული არ არის, თანაც დაღლილია, ადრე დაწოლას ამჯობინებს და თუ მაინცდამაინც არ დაუშლია, სიმბოლურად ერთი მტევანი ყურძნით გამიმასპინძლდესო.

არჩილმა ამის გაგონებაზე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ ჩვენც გავჯიქდით და ამრიგად, ალბათ პირველად, დაირღვა საქართველოში მამაპაპისეული სტუმართმოყვარეობის უძველესი ტრადიცია.

მეორე დღეს, დილით ჩვენი სტუმარი სადღაც გამქრალიყო. ყველას პირკატა გვეცა. შეწუხდა მასპინძელი. მეც მიკვირდა. ბერიკაცმა თვითონ გვთხოვა დაწოლის წინ, დილაადრიან, რვა საათზე გვესაუზმა და უმალ მუშაობას შევდგომოდით. გალპერინი კი ქვეშქვეშ შემოგვცქეროდა და ეშმაკურად იღიმება.

ანაზდად ბუჩქებიდან ცვარში სულ ერთიანად ამოლუმპულმა სტუმარმა დამნაშავე ბავშვივით საწყლად შემოგვცინა. სანამ ჩვენ ხმას ამოვიღებდით, მან დაგვასწრო.

— ყველაფერი შეიძლება დაავიწყდეს კაცს, მაგრამ ეს დილა კი სამუდამოდ მეხსომება. დილა კი არა, გარიჟრაჟისას უკვე აი იმ თხემზე ვიყავი, იქიდან უფრო კარგად ჩანს დღის ჩამობრძანება ნისლდაკრულ კავკასიონიდან. ახლა კი ნამდვილად მესმის, რატომ ასე იშვიათად შეხვდება კაცი უცხოეთში მაცხოვრებელ ქართველს და რატომა ხართ თქვენი ქვეყნის ტრფიალნი. ასეთ ბუნებას, ასეთ ლაჟვარდოვან ცამაღალს, მადლიან მიწა-წყალს და კიდევ რაღაცას, რომლის გამოთქმაც არ ძალმიძს, შეუძლიან სამუდამოდ დაატყვევოს ადამიანი. თქვენ კი არხეინად გძინავთ და არაფერი არ გინახავთ, მუსიო გალპერინ! როგორ შეიძლება ამ ქვეყანაში, ამ დროს ძილი?

რაც საუზმის დროს სუფრასთან ითქვა, იმის გადმოცემას აბა ვინ შეძლებს! სულ ერთთავად ენად გაიკრიფა ეს ახალგაზრდა მოხუცი და ოქროპირად იქცა.

## გაცნობა... ჩურჩხელასთან

შემოდგომის მზე კარგა მაღლა იდგა, როცა სოფელ ვაზისუბანში შევედით. ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ იაშვილი ესაუბრა სტუმარს თავის კაბინეტში, მოუყვა კოლმეურნეობის ავკარგზე. ამ უკანასკნელ სიტყვას დაჩვეულნი ვართ, თორემ იქ ავი არა იყო რა. ძალზე კარგად მიდის კოლმეურნეობის საქმე. წლითიწლობით იზრდება შემოსავლიანობა და დოვლათი.

— აი, დავივლით აქაურობასა და თვითონ ნახოს რა შესძლებია ერთობლივ და გეგმიან შრომას; სწორედ ეგრე უთარგმნეთ ამხანაგო გალპერინ,— ღიმილით ამბობს საუბრის დასასრულს გაბადრული თავმჯდომარე. სტუმარი კი თვალს ვერ აშორებს რატომღაც კარადის თავზე მოკალათებულ ორ უზარმაზარ საზამთროს. მესამე იქ ნამდვილად ვერ დაეტეოდა.

კოლმეურნეობა იმ დღეს ალაზნის პირზე უკანასკნელ რამდენიმე ჰექტარ ვენახს კრეფდა და ჩვენც იქეთკენ გავეშურეთ. წინა დღეს წვიმას გადაევლო, ხოლო ამ დილით ცვარი დაედო. წინანდლის ცვარი უკვე შეაშრა სტუმარს, ახლა ხელმეორედ ამოიგანგლა ტალახსა და ცვარში, მაგრამ იგი ამით ამაყობდა კიდეც.

— ნაზი ვინმე არ გეგონოთ. მეც გლეხის ოჯახიდანა ვარ გამოსული. დედაჩემის სოფელი სამხრეთ საფრანგეთში, ზედ ესპანეთის საზღვარზე ძევს და ყოველი წლის არდადეგებისას ბებიასთან მივდიოდი. საჩუქრად აუცილებლად შაქარი უნდა მიმეტანა. იმ ხანებში შაქარი ძალზე იშვიათი რამ იყო. წამალივით ხმარობდნენ. ხოლო მურაბებს უშაქროდ ადუღებდნენ, უმთავრესად ყურძნის წვენის სიროპში. ასე რომ სოფლური სიდუხჭირე ჩემთვის კარგად არის ცნობილი. უნდა გამოგიტყდეთ, დღევანდელ საფრანგეთში ეს სიდუხჭირე კიდევ ბოგინობს. თქვენში კი იგი უკვე აღარ იგრძნობა. ეს სტუმრის სავალდებულო ქათინაურად კი არ მიიღოთ. ამ სოფელში მე სამ თუ ოთხ ოჯახში შევიხედე თათარიახნად და ყველგან დოვლათი დუღს. დუღილზე გამახსენდა, ერთგან თათარას ადუღებდნენ. ვიკითხე და ჩურჩხელების გასავლებადო მითხრეს, თანაც ამიხსნეს მისი დამზადების „ტექნოლოგია", ესეც ამ ქვეყნის განუმეორებელი და დამახასიათებელი რამ არის. ჩემს მიერ დავლილი ქვეყნებიდან ნახევარზე მეტი მევენახეობა-მეღვინეობას ეწევა, ჩურჩხელა კი მარტო თქვენთან ვნახე.

კოლმეურნეობის კანტორაში საუბრისას სტუმარს ჰექტარზე ყურძნის მოსავლიანობის სარეკორდო ციფრი — 220 ცენტნერი დაუსახელეს და როდესაც ამას იწერდა, თავი უნდობლად გაიქნია. მიხეილ იაშვილს მაშინ გაეღიმა. ახლა, ამ ნაკვეთზე, ფრანგი თვითონვე დარწმუნდა ქართული მიწის და გამრჯელი მარჯვენის ბარაქიანობაში.

— რამდენი ცენტნერი მოკრიფეთ ჰექტარზე? — ეკითხება დიუმონი მერგოლურს.

— ორასზე მეტი.

— სულ ასე მსხმოიარე იყო ყველგან?
— დაახლოებით ასეთი, მაგრამ უკეთესიც გვქონდა. იგი გასულ კვირაში დავკრიფეთ.
— ყველგან ასეთი მოსავალია თქვენს რაიონში?
— ყველგან არა, ამ ზაფხულს ზოგან სეტყვამ დააზიანა მოსავალი, მაგრამ ჩვენთან ასეა.

— ერთი ეს მიბრძანეთ, — შეესიტყვა ერთი ქოჩორა ჭაბუკი, — თქვენთან როგორი მოსავალი გაქვთ?

— ჩვენში მოსავლის საშუალო რაოდენობა გაცილებით მცირეა, დაახლოებით თქვენებურის ნახევარზე ცოტათი ნაკლები. სამაგიეროდ ჩვენთან შაქრიანობა მეტია, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვენახებს არა ვრწყავთ, ე. ი. სარწყავ ადგილებს სავენახედ არა ვხმარობთ. ზვრებს საგანგებოდ ფერდობებს შევურჩევთ ხოლმე და ტერასული სისტემით ვაშენებთ. სარწყავებზე კი სხვა კულტურებს ვთესავთ. ჩემი აზრით, ეს სწორია. მოგეხსენებათ, ვაზი ღრმად იდგამს ფესვებს ნიადაგში და მორწყვას მაინცდამაინც არ საჭიროებს, ხოლო ყველაზედ კარგი ხარისხის ღვინო ურწყავ ფართობებიდან დაკრეფილი ყურძნიდან იწურება ხოლმე. თქვენც ამასვე გირჩევდით. აქ, მაგალითად, სიმინდის ორ მოსავალს აიღებდით, სამარცვლეს და სასილოსეს, პარკოსნებიც კარგად იხეირებს ასეთ ადგილში, ორივე ფრიად სასარგებლო კულტურაა, განსაკუთრებით მეცხოველეობისათვის.

— მაგრამ ვენახი ხომ მეტი სარფიანია? — არ ეშვება ქოჩორა.

— ეს მართალია, მაგრამ კაცი მარტო ღვინით როდი ცოცხლობს. მას რძის პროდუქტები და ხორციც სჭირდება.

— საამისოდ საძოვრებია და იონჯა. — არ იხევს უკან კახელი.

— ინტენსიური მესაქონლეობა უნდა ემყარებოდეს სიმინდს, ბარდას, იონჯას, ჭარხალს. ისინი კი ვაკე და სარწყავ ადგილებს ამჯობინებენ.

— მოდი, ჩვენი გამოცდილება გადაიღეთ, გარწმუნებთ ფრანგი გლეხები კმაყოფილნი იქნებიან.

— აუცილებლად მოვუყვები თქვენს წარმატებაზე, მაგრამ ჩემი ნათქვამიც არ დაგავიწყდეთ; თანაც ბარდას, სიმინდს და სხვა საფურაჟე კულტურას ახლა თქვენი მთავრობა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. და სრულებით სამართლიანადაც, რადგან ინტენსიური საკვები ბაზის გარეშე მეცხოველეობა მწყემსური მეურნეობის ტრადიციებს ვერ გასცდება.

მანქანები გზის პირას გველოდებოდა და მათკენ გავეშურენით. წინ გურჯაანელი მასპინძლები შემოგვეყარნენ. დიდი ხნის ნაცნობებივით მიესალმნენ ერთმანეთს ისინი და დიუმონი.

— როგორ არის საქმე, კმაყოფილი ხართ?

— ეგ სიტყვა აქ არ გამოდგება. კმაყოფილი რას მიქვიან! აღტაცებული ვარ. გერმანელებს ერთი თქმა აქვთ: „მე რომ გერმანელი არ ვიყო, ფრანგობას ვისურვებდიო“, მე კი ვიტყოდი: ფრანგი რომ არ ვიყო, აუცილებლად ქართველობას ვისურვებდი.

— რათა, ცუდია განა თქვენი ქვეყანა?

— ხალხი კარგია, არც მიწა-წყალიაურიგო, მაგრამ პატრონი გვყავს უხეირო.

— მთავარი ხალხია და მიწა-წყალი. დანარჩენი კი თვით ხალხის საქმეა!

## მიჩვეული ჩამორჩენილები

ნაშუადღევს გზატკეცილიდან სოფელ არაშენდასაკენ გადავუხვიეთ. გზად სტუმარს ამ სოფლის სახელის სემანტიკაზე ველაპარაკე. ამასობაში კოლმეურნეობის კანტორასაც მივადექით. კარებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ყამბარაშვილი შემოგვეგება. გაიმართა საუბარი. დიუმონი კითხვას კითხვაზე აყრის. შალვა დინჯად პასუხობს, ხანდისხან ბუღალტერსაც გამოიძახებს მეზობელ ოთახიდან, რომ ესა თუ ის ციფრობრივი მონაცემი დააზუსტოს. სტუმარი შიგადაშიგ მეკითხება:

— კი მაგრამ, რით არის ეს მეურნეობა ჩამორჩენილი? ჩამორჩენილი და ასეთი კარგი მაჩვენებლები? აკი გუშინ დამპირდით, რომ... — აქ სიტყვა თავმჯდომარემ ჩამოგვართვა, რომელიც ალბათ გუმანით მიხვდა თუ რაზე ვდაობდით.

— ეგრე გადაეცი, რომ ჩამორჩენილებს აქ, ახლომახლო სოფლებში იქნებ ჰა და ჰა, წააწყდეს კაცი, მაგრამ აი გაისად სარწყავი არხი გვექნება და ზოგიც მაშინ მოიკითხოს ჩამორჩენილები!

— როცა სოფელი ასე კეთილმოწყობილად გამოიყურება და ამდენი ახალი სახლია აგებული, იქ ჩამორჩენილობა მართლაც ვერ იბოგინებს — კვერს უკრავს სტუმარი. მაგრამ მაინც სად ვნახავ ჩამორჩენილ კოლმეურნეობას?

— ჩამორჩენაა, მა რა არი სარწყავი არხის უქონლობა? — გაექილიკა შალვა.

დიუმონი კეთილად იღიმება.

ახლად ამოსული ბარდის ნაკვეთებში გავედით, მეცხოველეობის ფერმებსაც ვეწვიეთ და ისევ სოფელში დავბრუნდით.

## კარგი იდეის თანაავტორი

ამჯერად კოლმეურნეობის მერგოლურის ვანო ბაწალაშვილის ჭიშკარი გაიღო. მასთან ვართ სადილად მიწვეული. ეზოში ორსართულიანი სახლი კეკლუცად შემოგვცინის. საკარმიდამო ნაკვეთი პატარძალივით გამოიყურება. ბაღჩა, ხეხილი და, რა თქმა უნდა, ახლად ნაშენი ვენახი. სახლის გვერდით თონე. იგი ჯერ კიდევ თბილია. ახლახან ამოუყრიათ ქართული შოთები. შევდივართ ოდის ქვემო სართულში. ერთ ნაწილში მარანია გამართული. მარანში რამდენიმე ქვევრი. შიგ მაჭარი თუხთუხებს. ზემოდან აუარება ჯაგნები დაგვყურებს თავს. მზრუნველ დიასახლისს ისინი მარლით შეუხვევია. ალბათ ასე უფრო კარგად სძლებს. ქვევრთან მაჭრის ჭაშნიკი ავიღეთ. დიუმონს უკვირს დოვლათის სიუხვე და მარნის ლაბორატორიული სისუფთავე. დიდხანს უტრიალა ქვევრებს. დანარჩენი კი ჩემთვის ცნობილიაო. ისიც კი თქვა, რომ ძველად საფრანგეთში ჩვენებურის მსგავსი ხის საწნახელი სცოდნიათ, სადაც ფეხით სწურავდნენ თურმე ღვინოს,—აქ დაანახვა მასპინძელს თუ როგორ დადიოდა საწნახელში შარვალატოტვილი მისი პაპა — ასეთ ღვინოს ფეხის ნაბანს ეძახდა ხალხი, მაგრამ საფრანგეთს სახელი სწორედ მან გაუთქვაო — დასძინა სტუმარმა და დაუმატა: შემდეგ კი მწერალმა გუსტავ ფლობერმა მოსწრებულად იოხუნჯა: შამპანურის წყალობით ფრანგული იდეები მთელს მსოფლიოში გავრცელდაო.

— მე კი ასე მეგონა თქვენს ქვეყანას სახელი რევოლუციამ და ფრანგი ხალხის სახელო შვილებმა გაუთქვეს — შეესიტყვა სტუმარს მასპინძელი...

დიასახლისმა სუფრასთან მიგვიწვია ზემო სართულში.

თამადად მასპინძელი აირჩიეს და არა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დიუმონს ავუხსენით, რომ აქ ბატონ-პატრონი ახლა მერგოლურია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამჯერად მას უნდა დაემორჩილოს.

თამადა-მასპინძელი ენაწყლიანი გამოდგა. თანაც სტუმრის ტოლი და მასავით პაპა. ჯერ კიდევ ეზოში შემოსვლისას შეამჩნია დიუმონმა აკვანიც და თავისი შვილიშვილი ინატრა.

არავინ არ მოელოდა თუ ასეთ დიდ ერუდიციას გამოიჩენდა დიუმონი ქართული პურობის ტრადიციების დაცვისას. რითაც ძალზე გააკვირვა და ასიამოვნა ყველანი, სადღეგრძელოს არ გაუშვებდა ისე, რაიმე რომ არ დაემატებინა.

როცა დიასახლისის სადღეგრძელო წარმოითქვა, სუფრასთან ვანოს მეუღლე თამარი გაჩნდა, ქმარს სირჩა ჩამოართვა, ენაწყლიანობაში გაეჯიბრა და ასე გასინჯეთ დაჩაგრა კიდეც.

— მე მაინც ვერ გამიგია, რატომ ჰქვიან ამ საუცხოო სოფელს, სადაც ამდენი ახალი სახლია წამოჭიმული, ასეთი შეუფერებელი სახელი — არ-აშენ-და — (ძლივს ჩამარცვლა), ჩემი აზრით, უნდა გამოუცვალოთ ეს სახელი — დაიწყო თავისი მორიგი „დამატება“ სტუმარმა. აი ოქვენ, ქალბატონო თამარ, რა სახელს შეარჩევდით?

—თუ გინდ ასე: არაშენდა აშენდა და დამშვენდა, ასე იყოს, ჰა!—მკვირცხლად მოუჭრა დიასახლისმა.

სტუმარმა რითმა და ალტერაცია უმალ დაიჭირა, აზრი კი, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო, უთარგმნეს.

— ბრავო! ზედგამოჭრილია! „არაშენდა-დამშვენდა“ — დაუჩამტვრეულ-ქართულა გაჭირვებით, და გამარჯვებულის იერით განაგრძო, — მე ფრიად მოხარული ვარ, ასეთი კარგი იდეის თანაავტორი რომ გავხდი და ნათლია. ნათლია კი მოკეთეა. მეც ამიერიდან მოყვრად მიგულვეთ. სამუდამოდ მეხსომება თქვენი მიწის და მარჯვენის ბარაქა, ქართული სუფრის მადლი. თქვენებური სტუმართმოყვარეობა ყველგან საარაკოდ არის მიჩნეული. მე იგი უშუალოდ განვიცადე არა ერთგზის. მე თქვენთან მოვედი არა როგორც მარტო მეგობარი და კეთილისმოსურნე, არამედ როგორც მკვლევარი და სწავლული. აქ მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ემყარება, ყველაზე სრულყოფილია და თანამედროვე. იგი ღირსია იმისა, რომ სხვა ქვეყნებმაც გადაიღონ და დანერგონ. ამას მე იმისთვის კი არ ვამბობ, ქებით რომ გაამოთ, არამედ ღრმად მწამს ამ სტრუქტურის პროგრესულობა. ამის შესახებ მე აუცილებლად დავწერ და გამოვაქვეყნებ. დიახ, გამოვაქვეყნებ და თქვენ წაიკითხავთ.

დამშვიდობებისას სტუმარს შვილიშვილისთვის ჩურჩხელები გაატანეს.

მანქანაში იგი ბორგავდა, ვერ ისვენებდა, აღტაცებას ვერ ფარავდა. ღვინო აქ არაფერ შუაში იყო. იგი ჭიქას ოდნავ მოსვამდა, ანუ როგორც თვითონ ამბობდა, ემთხვეოდა ხოლმე. ის იყო ალბათ პირველი უცხოელი, რომელიც კახეთიდან სრულიად ფხიზელი ბრუნდებოდა. მერედა ფრანგი მაინც არ ყოფილიყო ის დალოცვილი, ღვინის ქვეყნის შვილი!

## ყაზბეგის ერთი ხუმრობა

გზად ცხვრის ფარა შემოგვეყარა. დიუმონმა მანქანა გაგვაჩერებინა და მწყემსს გამოელაპარაკა. მისი ვინაობის ჩაწერა ორივეს დაგვავიწყდა. საუბრის დასასრულს მწყემსმა სტუმარს მისი ქვეყნის ამბებიც გამოჰკითხა და დიუმონმა ერთხელ კიდევ გამოთქვა განცვიფრება: რატომ ამდენი რამ იცის საბჭოთა კავშირში არა მარტო შოფერმა, არამედ ამ მომთაბარე მწყემსმაც! განა საფრანგეთში შეხვდება კაცი მწყემსს, რომელიც იქ ჩასულ ქართველ მეცნიერს ასეთ შეკითხვებს მისცემს?

მე კი რატომღაც ალექსანდრე ყაზბეგის ონავარი ხუმრობა გამახსენდა „ნამწყემსარის მოგონებიდან“:

„ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანცუზულად“.

• • •

რენე დიუმონმა დანაპირები შეასრულა. ამონაწერი მისი ვრცელი სტატიიდან, რომლის თარგმანიც მოსკოვის ჟურნალ „კულტურა ი ჟიზნში“ გამოქვეყნდა, ამ ნარკვევს წავუმძღვარეთ.

ახლა რიგი თქვენზეა, არაშენდელებო! არ გამოუცვლით თქვენს სოფელს სახელს? ამისთვის მხოლოდ პირველი მარცვლის წაშლაა საკმარისი...







პროფესორი გ. ხარატიშვილი სტუდენტებთან.

ფოტო თ. არჩვაძისა

# თითქოს ფანტასტიკურ რომანს კითხულობდეთ...

გინდათ თუ არა გაიგოთ როგორ გამოიყურებოდა ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი იმ უშორეულეს ეპოქაში, როცა ადამიანის სახსენებელი ჯერ არსად იყო და ქვეყნად დაბობლავდნენ უზარმაზარი დინოზავრები (ბერძნულია, ნიშნავს საშინელ ხვლიკს), ტირანოზავრები (ტირანი ხვლიკი), ჰაერში დაფრინავდნენ ფანტასტიკური პტეროდაქტილები... ეს იყო მეზოზოური ერა, დაახლოებით 185 მილიონი წლის წინ... აი სად გადავყევართ უაღრესად საინტერესო მუზეუმს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ შეიქმნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრასთან.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა სათაფლიაში (ქუთაისის ახლოს), უნახავს იქაური მიწისქვეშა მღვიმეები და გამოქვაბულები, ის უსათუოდ იცნობს ამ მუზეუმის მინის კარადებში სათუთად შენახულ სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს, მრავალნაირი ზომისა და შემადგენლობის კონკრეციებს და სხვა ექსპონატებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მიწის ქერქის გეოლოგიური ისტორიის შესწავლისათვის.

ამ საინტერესო მუზეუმში გამოფენილია მრავალი ექსპონატი და სასწავლო-საილუსტრაციო მასალა: რუკები, ჭრილები, ბლოკდიაგრამები... აქ ნახავთ სხვადასხვა გეოლოგიურ ქანებს, ქიმიურ ნალექებს, ოდესღაც ვულკანის ამოფრქვევის დროს კრატერიდან ამოტყორცნილ ქვებს. აქვეა საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი მრავალგვარი ვულკანური წიდა, მათ შორის თეთრი ძარღვებით დასერილი რუხი ფერის ქანი, რომელსაც გაცივების შემდეგ ნაპრალები კალციუმით ამოვსებია.

ეს ექსპონატები ცალკეული სამეცნიერო დისციპლინების მიხედვითაა განლაგებული. ცალ-ცალკეა გამოყოფილი დინამური გეოლოგიის, უხერხემლოთა პალეონტოლოგიის, ისტორიული და საბჭოთა კავშირის გეოლოგიის მასალები. მათი უმრავლესობა შეგროვილია გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის თანამშრომლების მიერ.

განსაკუთრებით საინტერესოა პალეონტოლოგიის განყოფილება. ოდესღაც საქართველოს ტერიტორია ზღვას ეჭირა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მუზეუმის ექსპონატებს გავეცნობით. თვალში გვხვდება ათასგვარი თევზის ჩონჩხის ანაბეჭდები, რაჭის მთებში ნაპოვნი მარჯნის კირქვები, გაქვავებული ქანები, რომლებზეც პალმების მკაფიო ანაბეჭდებია გამოსახული, გაქვავებული ზღვის ღრუბლები, ქვადქცეული ხის ღეროები ტყვარჩელიდან და გოდერძის გადასასვლელიდან, რომლებიც იურიულ და პლიოცენურ პერიოდს ეკუთვნიან. დოცენტი გ. გუჯაბიძე და მეცნიერი თანამშრომელი რ. კახაძე სიამაყით გვანახვებენ ამჟამად ამოწყვეტილი ამონიტების გაქვავებულ ნიჟარებს, რომლებიც რბილტანიანთა ტიპს ეკუთვნიან. მოლუსკების ზოგიერთი ნიჟარები ჯიხვის რქებს გვაგონებს. აღსანიშნავია პალეოზოური ენდოცერასები, ოთხქიმიანი მარჯნები და ზვიგენის კბილი, რომელიც მესამეულ პერიოდს ეკუთვნის.

მუზეუმის შემდეგი დარბაზი უკვე გადაშენებული უზარმაზარი ხერხემლიანი ცხოველების ვეებერთელა მაკეტებსა და ჩონჩხებს უჭირავს — თითქოს კონან დოილის სათავგადასავლო წიგნის „დაკარგული ქვეყნის“ ფურცლებზე მოხვდითო. დიდი ოსტატობითაა შესრულებული ტირანოზავრის, პარეიზავრის და სხვათა მაკეტები. აი პერმულ დროში მცხოვრები უძლიერესი მტაცებელი ტირანოზავრი. მას ბასრ კლანჭებში მოუქცევია პარეიზავრი, რომელიც გიგანტურ ხვლიკს გვაგონებს, და გაშმაგებით ფლეთავს. ტირანოზავრს თხუთმეტი მეტრი სიგრძე აქვს და დედამიწაზე მცხოვრებ ხორცისმჭამელ ყველა ცხოველს აღემატება. აქვეა უზარმაზარი გადაშენებული მარტორქის — ინდრიკოთერიუმის წინა კიდურების მაკეტი, რომელსაც კედლის მთელი სიმაღლე უჭირავს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დინოზავრის ყველაზე მკაფიო ნატერფალი სათაფლიაშია შემონახული. ქართველმა გეოლოგებმა ლენინაკანის მიდამოებში აღმოაჩინეს მეოთხეული პერიოდის გოლიათური მამონტის ეშვები, რომლებიც 18 ფუთს იწონის; მათვე 1958 წელს, კასპის მიდამოებში მიაკვლიეს ვეშაპის მაგვარი ცხოველის ხერხემალსაც, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც სხვადასხვა დროს მცხოვრები ადამიანების აღდგენილი მულიაჟებია.

— გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრა ადრე უნივერსიტეტთან იყო შეერთებული, — გვიამბობს გ. გუჯაბიძე, — გამოყოფის შემდეგ სამი გატეხილი უნაგირი და სამი დაგლეჯილი ზურგჩანთა გვერგო. არ იყო არავითარი საილუსტრაციო მასალა. ძნელი იყო ლექციების კითხვა. სტუდენტებს პრაქტიკულად არ შეეძლოთ გასცნობოდნენ იმ მასალას, რასაც თეორიულად ითვისებდნენ.

დღეს კი შესანიშნავი პირობებია შექმნილი მეცადინეობისათვის. აქ ხშირად იკითხება ლექციები ცალკეულ სამეცნიერო თემებზე. აქ მოდიან არა მარტო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, არამედ სხვა სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულების მოსწავლეები და თანამშრომლები,

მუზეუმი ჭეშმარიტად დიდებული და საამაყოა, მისი მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა ვიწრო საინსტიტუტო ფარგლებს.

* * *

დასასრულ ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ: ზემოთქმულიდან უკვე ნათელია, თუ რამდენ დიდია ამ მუზეუმის მნიშვნელობა არა მარტო მათთვის, ვინც გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის სპეციალური პრობლემებითაა დაინტერესებული, არამედ ყოველი მოქალაქისათვის, ვისაც სურს გააფართოვოს თავისი გონებრივი ჰორიზონტი. ეს ექსპონატები, დედამიწის შორეულ წარსულზე რომ მოგვითხრობენ — უძვირფასეს მასალას წარმოადგენენ ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდისათვის. მუზეუმს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენი ლექტორებისათვის, რომლებიც მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას ეწევიან — აქ ხომ, როგორც ხელისგულზე, ისეა ნაჩვენები თუ როგორ ვითარდებოდა სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.

**ნანა ჯაფარიძე**

ტირანოზავრი.



# შეტევაზეა

**ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლების, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მოსავლიანობის გადიდების რეალურ პერსპექტივას ქმნის.**

**ნ. ს. ხრუშჩოვი**

ქიმიას ქალაქში უაღრესად ფართო სარბიელი აქვს — იგი გვაცმევს, გვმკურნალობს. მაგრამ არანაკლები სამუშაო ელის მას მინდვრად — აქ იგი მრისხანე მეომრად ევლინება ბაღებსა თუ ვენახებში, ხოდაბუნებსა თუ პლანტაციებში თავშეფარებულ ყველა ჯურის სარეველასა და მავნებელს, დაუნდობლად სპობს მათ. ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი თანამებრძოლების ყველა სახელს საფუძვლად უდევს ესოდენ მკაცრი სიტყვა „ციდო" ანუ „ვკლავ". და მართლაც, ინსექტიციდები ხოცავენ მავნე მწერებს, ზოოციდები — მღრღნელებს, ჰერბიციდები — სარეველებს, ფუნგიციდები — სოკოებსა და მიკროორგანიზმებს. საერთო სახელად კი მათ პესტიციდებს ანუ მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს უწოდებენ.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერებმა ბევრი ახალი პესტიციდი შეიმუშავეს. თუ 1924 წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მხოლოდ 1.000 ტონა შხამქიმიკატი მიიღო, ახლა ქიმიური მრეწველობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ასეულ ათასობით ტონა შხამქიმიკატს აწვდის; ამასთან, ამ პრეპარატების ასორტიმენტი მეტად ფართოა და შეესიტყვება რომელიც გნებათ ბაქტერიისა თუ სარეველას „გემოსა" და „ხასიათს".

რა თქმა უნდა, სანამ მინდორში გასვლის „საშვებს" მიიღებენ, ყოველი მათგანი მკაცრ გამოცდას გადის სპეციალური დანიშნულების ლაბორატორიებში, სათბურებსა და საცდელ ნაკვეთებში. ჩვენც სწორედ იმ უახლეს შენაერთებზე გვინდა ვუამბოთ ჩვენს მკითხველებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს პესტიციდებში „მისაღები გამოცდები".

ავიღოთ თუნდაც ე. წ. ფუნგიციდი, რაც სიტყვა-სიტყვით „სოკოების მხოცავს" ნიშნავს. ეს პრეპარატი ახლა ბევრისთვის არის ცნობილი. მაგრამ რამდენი წელია, რაც თვით მეცნიერება იცნობს მას? ათი? ოცი? ასი? ნუ იმკითხავებთ — სამი ათასი წელიწადი! ჯერ კიდევ ჰომეროსი ლაპარაკობდა „გოგირდზე, რომელიც სწამლავდა მავნებლებს". ახლა კი გოგირდოვანი ფუნგიციდები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრეპარატია. ფუნგიციდების დედოფალმა — ცნობილმა ბორდოს სითხემ, რომელიც თითქმის ასეული წელია, რაც მავნე სოკოებს ანადგურებს, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ძალაუფლება ე. წ. ცინებს დაუთმო. ცინები ორგანული ფუნგიციდია და ჭეშმარიტი უნივერსალობით ხასიათდება. იგი დაავადებისაგან იცავს ვაზს, ლობიოს, ვაშლს, კარტოფილს, ქლიავსა და ვინ იცის კიდევ რას. მოსკოვის სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შემუშავებულია ცინების მიღების ორიგინალური წესი, რომელიც ამ პრეპარატის წარმოების შეკრული ციკლის წყალობით საწარმოს მავნე ჩამდინარე წყლებისაგან ათავისუფლებს.

ამჟამად მეცნიერებაში ფუნგიციდების შესახებ მეტად საინტერესო აზრები იბადება. ლაპარაკია სისტემურ ანუ შიდამცენარულ პრეპარატებზე. რას წარმოადგენენ ეს პრეპარატები? თუ ყველა იმ შენაერთს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, შეიძლება ვუწოდოთ ფუნგიციდ-სანიტარები, მაშინ სისტემური პრეპარატები ფუნგიციდი-ექიმები იქნებიან. პირველნი ახორციელებენ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ზომებს, სპობენ მხოლოდ მცენარეთა ზედაპირზე მოკალათებულ პარაზიტებს და უღონონი არიან, როგორც კი დაავადება მცენარის შიგნით შეიჭრება. მეორენი კი, პირიქით, ფეხდაფეხ მისდევენ მავნე სოკოებს, იჭრებიან მცენარეთა გულში და როგორც არ უნდა დაავადებულნი იყვნენ ისინი, უმალ ჰკურნავენ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო: შემლწევ ფუნგიციდებს ხომ ისე უნდა მოესპოთ სოკოს უჯრედები კულტურული მცენარის შიგნით, რომ არავითარი ზიანი არ უნდა მიეყენებინათ თვით მცენარისათვის. ახლა სისტემური ფუნგიციდები ყველაზე პერსპექტიული პრეპარატებია სოკოთა გამანადგურებლების მრავალრიცხოვან ოჯახში. ერთი სიტყვით, ჩვენი სწავლულების ენით რომ ვთქვათ, იწყება მცენარეთა თერაპიის საუკუნე!

რომელიღაც მეცნიერმა თქვა, სამყაროს მხოლოდ ადამიანები და მწერები განაგებენო. ეს არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ საკმაოდ მართებულადაა ნათქვამი. ადამიანები რომ დღე და ღამე არ ებრძოდნენ ამ ღორმუცელა, გამრავლების შემაძრწუნებელი უნარის მქონე არმიებს, ისინი ნამდვილად წალეკავდნენ ჩვენს პლანეტას.

კოლორადოს ხოჭო, მარცვლის ტილი, შვედური ბუზი, მარწყის ტკიპა, ვაშლის ფერისმჭამელი, ჭარხლის ცხვირგრძელა — ათასობით მწოველი, მღრღნელი, მხვრხავი, მჩხვლეტავი, მგლეჯავი და მღეჭავი — ყოველ წუთს მზად არიან კულტურულ მცენარეზე თავდასასხმელად, მისი სასიცოცხლო წვენის ამოსაწოვად. ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ უკრაინაში ჭარხლის ცხვირგრძელა იმდენ შაქრის ჭარხალს ანადგურებდა, რომ იქიდან შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებისათვის ორ-ორი კილოგრამი შაქარი მოგვეხარშა, ხოლო ტკიპასაგან დაღუპული ბამბა ქსოვილად რომ გვექცია, მისგან ყველა ჩვენი ქალი ორ-ორ კაბას შეიკერავდა.

ამჟამად ეს შაქარიც და ქსოვილიც ინსექტიციდებმა დაუბრუნეს სახალხო მეურნეობას. სხვათა შორის აქაც, ისევე როგორც ფუნგიციდებს შორის, ყველაზე პერსპექტული აღმოჩნდა სისტემური პრეპარატები. სისტემური ინსექტიციდის — მეთილომერკაპტოფოსის წვეთები მცენარეზე დაცემისთანავე შეიწოვება და მცენარე ნამდვილ შხამით სავსე მწვანე ჰურჭლად იქცევა. იგემებს თუ არა მის მოწამლულ წვენს, მავნებელი უმალ იღუპება.

მაგრამ ხომ არ ავნებს სისტემური ინსექტიციდები თვით მცენარეს? საშიში ხომ არ არის იგი ადამიანისათვის? ამ საკითხშიც მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. მაგალითად, სისტემური ინსექტიციდების გამოყენება შესაძლებელი გახდა მაშინაც კი, როცა მცენარეს ნაყოფი გამოღებული აქვს და იგი წვენითაა სავსე. მანდარინები და ფორთოხლები, რომლებიც საწამლავი პრეპარატით არიან გაჟღენთილი და ელვის სისწრაფით ხოცავენ მავნებლებს, სრულიად უწყინარნი მოხვდებიან მაგიდაზე: შხამი მისი გამოყენებიდან უკვე რამდენიმე დღეში იშლება.

მეცნიერებმა ამას წინათ დიდი წარმატებით ჩაატარეს ცოცხალი „შხამის ფაბრიკის" შექმნის ცდა. მათ ცხენის ორგანიზმში შეიყვანეს სისტემური ინსექტიციდი — ქლოროფოსი, რომელმაც პირუტყვის სისხლში შერევისას მოსპო საქონლის უბოროტესი მტრის — კანის კრაზანის მატლები.

ფოსფორ და ქლორორგანიული პრეპარატები, რთული და უბრალო ეთერები, ნიტროშენაერთები, ამინები და სხვა ინსექტიციდები გაშლილი ფრონტით უტევენ ხოჭოებისა და ტკიპების მავნე სამყაროს...

მცენარეები რომ სარეველასაგან დაეცვათ, ადამიანები მარგლავდნენ მათ. რა უნდა იყოს ამ სამუშაოზე უფრო მომქანცველი? მთელი დღე ოთხად მოკეცილი კუს ნაბიჯით მისდევ კვლებს და ყოველ წუთში ხელს იკაწრავ გაჯიქებულ, ფესვმაგარ სარეველაზე. ერთ კვადრატულ მეტრზე კი შეიძლება ორი ათასი ძირი სარეველა იყოს — აი სადამდე მიდის ხოლმე მინდვრის დანაგვიანება! თუ ერთ ჰექტარ საშუალოდ დანაგვიანებულ ფართობს ერთი კაცი მოკიდებს ხელს, მის გასამარგლავად მას მთელი ერთი თვე დასჭირდება. მაგრამ აიყვანთ თუ არა თანაშემწედ ჰერბიციდებს, მარგვლა სულ რაღაც ორიოდე საათს გაგრძელდება. სატრაქტორო შემსხურებლის მეოხებით ერთ სამუშაო დღეს შეიძლება 25 ჰექტარის გაწმენდა სარეველებისაგან, თვითმფრინავით მოფრქვევით კი — 150 ჰექტარის!

საკმარისია, მაგალითად, სიმინდის დათესვის შემდეგ ნიადაგი მოისხუროს პრეპარატ სიმაზინის სუსპენზიით (1-3 კგ. ჰექტარზე), რომ მდიდარი მოსავალი უზრუნველყოფილი იქნება — ისპობა ყველა სარეველა. მაგრამ როგორღა ცოცხლობს თვითონ სიმინდი? სწორედ ამაშია ჰერბიციდების შესანიშნავი თვისება, რომ სპობენ სარეველას და არას ავნებენ კულტურულ მცენარეს. სიმაზინი მიეკუთვნება შერჩევითი მოქმედების ჰერბიციდებს, რომლებიც სულ უფრო მრავალფეროვანნი ხდებიან: ყოველი ცალკე სახის კულტურული მცენარისათვის იქმნება მისი შესაფერი ჰერბიციდი.

რას აძლევს ჩვენს სახალხო მეურნეობას მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება? უდიდეს მოგებას. შხამქიმიკატებით დამუშავების შემდეგ მარცვლეულის მოსავლიანობა იზრდება 10 პროცენტით, ბოსტნეულის — 20 პროცენტით, ხილის — 40 პროცენტით და ა. შ. ქიმიკატების ყოველ პრეპარატზე დახარჯული 1 მანეთი იცავს 5-დან 300-დე მანეთის მოსავალს, ამასთან ისპობა ხელით სამუშაოები გამარგვლისა და მოსავლის აღების დროს.

## ქიმია

მაგრამ ქიმია არა მარტო იცავს მცენარეებს მავნებლებისაგან, არამედ ყოველმხრივ აძლევს მათ სტიმულს სწრაფი და ჯანსაღი განვითარებისათვის. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არაორგანულ ანუ მინერალურ სასუქებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი აღნიშნულია, რომ „მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, არის ბრძოლა მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისათვის".

ასეთ სასუქებს მართლაც რომ ჯადოქრული ძალა აქვთ. ავიღოთ, მაგალითად, ამიაკის გვარჯილა. ნიადაგში ერთი ცენტნერი ამ სასუქის შეტანა ნიშნავს იმას, რომ ჰექტარზე ხორბლის მოსავალი გაიზარდოს 4-5 ცენტნერით, ჭარხლისა — 20-30 ცენტნერით, კარტოფილისა — 18-20 ცენტნერით. ერთი ცენტნერი სუპერფოსფატის ნიადაგში შეტანა კი ნიშნავს ჰექტარზე 3-4 ცენტნერით მეტი ხორბლის მიღებას.

სასუქების გამოყენება დიდ ზეგავლენას ახდენს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავალზეც. თუ სასუქების მიღებამდე, ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავდათ 500-600 კილოგრამი ფოთოლი, ახლა სასუქების სისტემატურად გამოყენების მეოხებით იმავე პლანტაციებში ჰექტარზე საშუალოდ 6000-8000 და მეტ კილოგრამ „მწვანე ოქროს" კრეფენ.

მინერალური სასუქების ასეთმა არაჩვეულებრივმა ეფექტიანობამ განაპირობა მათი წარმოების გადიდების ის უდიდესი პერსპექტივები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ მომავლისათვის დასახეს. 1970 წელს ჩვენმა ქვეყანამ მილიონობით ტონა სასუქი უნდა მიიღოს, რაც რამდენჯერმე მეტია მიმდინარე წელს მიღებული სასუქების რაოდენობაზე.

ცნობილია, რომ დღემდე მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა წყდებოდა უმთავრესად ნათესების ფართობის გადიდების გზით. ეს გზა თავის დროზე სწორი იყო, მაშინ ჩვენს ქვეყანას არ შეეძლო სახსრების გამოყოფა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, რათა მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით მოემარაგებინა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამიტომ ძნელიც იყო მოსავლიანობის გაორმაგებისა და გასამმაგების იმედი გვქონოდა.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. პარტია ფართო გზას უხსნის სასოფლო-სამეურნეო ქიმიას. მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება, წარმოების ინტენსიფიკაცია გენერალურ მიმართულებად იქცა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

სამხრეთის, კერძოდ საქართველოს კლიმატურ პირობებში აგროტექნიკური ღონისძიებებისა და, პირველ რიგში, მინერალური სასუქების ინტენსიური გამოყენების დროს სასოფლო-სამეურნეო წარმოება განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ მინერალური სასუქების წარმოებაზე დახარჯული შრომის ერთი საათი ზოგავს სოფლის მეურნეობაში დახარჯული შრომის 25 საათს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ყველა სახის მინერალური სასუქების წარმოების მნიშვნელოვან გაფართოებასა და სოფლის მეურნეობაში მათი გამოყენების გადიდებას.

ამჟამად რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა უშვებს ამიაკისა და ნატრიუმის გვარჯილას, მალე გამოუშვებს მიკროსასუქებს მარგანეცის ორჟანგის წარმოების ნარჩენების ბაზაზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს ამონიუმის სულფატს, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა — ძვირფას შხამქიმიკატს შაბიამანს, ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" საწარმოებში კი უახლოეს დროში ორგანიზებული იქნება მარგანეცის ლამების გამოშვება და ა. შ.

სულ მალე ჩვენი რესპუბლიკა ათეულ ათასობით ტონა ძვირფას შხამქიმიკატითა და მინერალური სასუქით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 1963 წლის დეკემბრის თვეში გაიმართა მოსკოვში, მიეძღვნა სწორედ ამ პრობლემებს. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში — „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა" — დასახულია ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლის უბრწყინვალესი პერსპექტივები. დეკემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ ბრძოლას შვიდწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის, დიდი ქიმიის ახალ მშენებლობათა, ამოქმედებისათვის.

ქიმია ფართო ფრონტითაა გადასული შეტევაზე!

**ა. ქუთათელაძე**

# სეტყვის ნაცვლად ჟუჟუნა წვიმა



ცა მოწმენდილია. კავკასიონის მწვერვალებთან უეცრად ყომრალი ღრუბელი გამოჩნდა, რომელიც სწრაფად მოიწევს ბარისაკენ.

კოლმეურნეები შეშფოთებული გასცქერიან ამ დაუპატიჟებელ სტუმარს: რამდენიმე წუთში სეტყვა წამოვა და მოსავალს გაანადგურებს.

მოულოდნელად ცაში ელვის სისწრაფით აიჭრნენ რაკეტები, ღრუბლებში აფეთქდნენ და ალაზნის ბარაქიან მინდვრებზე სეტყვის ნაცვლად ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა.

საშიშროებამ გაიარა. დაუზიანებელ ზვრებს, სიმინდის ყანებს, ბაღებსა და ბოსტნებს სეტყვა ველარაფერს დააკლებს!

ყოველივე ეს ფანტაზია არ გეგონოთ. ქართველმა გეოფიზიკოსებმა, მოსკოველ და ლენინგრადელ სპეციალისტებთან ერთად, უკვე შექმნეს სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტები.

კახეთის რაიონებში რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობენ გეოფიზიკის ინსტიტუტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის სტაციონარული ექსპედიციები; სპეციალისტებმა არა მარტო ღრმად შეისწავლეს სეტყვის წარმოქმნის პროცესები, არამედ ღრუბლებზე ზემოქმედების სწრაფი და საიმედო ღონისძიებებიც შეიმუშავეს.

სტაციონარული ექსპედიცია შარშან ოთხმოცი ათას ჰექტარ ფართობზე ატარებდა სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. ალაზნის ველზე გამოყოფილი იქნა ორი ტერიტორია: საცდელი, რომელიც სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტებით იყო დაცული და მის მეზობლად მდებარე ე. წ. დაუცავი ტერიტორია, სადაც სეტყვის საწინააღმდეგოდ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

დაკვირვების შედეგები მეტად საგულისხმო აღმოჩნდა.

სეტყვის საწინააღმდეგო საკომანდო პუნქტი სოფელ რუისპირში მდებარეობს. აქედან ხელისგულივით მოჩანს ალაზნის დაცემული ველი. სტიქიასთან მებრძოლი ადამიანები განგაშის ნიშანს იღებენ: „ყურადღება, ცივგომბორის ქედიდან ალაზნის ველისკენ სეტყვის ღრუბელი მოემართება!“

საკომანდო პუნქტის მორიგე დაუყოვნებლივ იძლევა ბრძანებას: „ჭურჭები საბრძოლველად მოამზადეთ“.

რაკეტები სწრაფად იჭრებიან ღრუბლებში, გაისმის აფეთქების ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ საფრთხე უკვე თავიდანაა აცილებული.

რუისპირის საკომანდო პუნქტიდან ორმოც სამთომსროლელ ზონას ხელმძღვანელობენ. ბრძანების გაცემის შემდეგ მთებში მოთავსებულ სასროლო პუნქტებიდან მოქმედებას იწყებენ რაკეტები, რის შედეგად სეტყვის ღრუბლები ვეღარ აღწევენ ალაზნის ველებამდე; თავიანთ ყინულის ტვირთს ღრუბლები მთებში ყრიან, ან კიდევ ძალა ელევათ, სუსტდებიან და მხოლოდ წვიმად გარდაიქმნებიან.

აი, ასე შეძლეს ჩვენმა სპეციალისტებმა საიმედოდ აელაგმათ ბუნების მრისხანე ძალა. მათი შეუპოვარი ბრძოლისა და შრომის მეოხებით შესაძლებელი გახდა გამანადგურებელი სეტყვის ნაცვლად საკოლმეურნეო მინდვრებს მაცოცხლებელი წვიმა გაჟუჟუნებოდათ.

ე. მახათაძე





# მხატვარი რეალისტი

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებისათვის რუსთაველის სახელობის თეატრმა უკვე საბოლოოდ განსაზღვრა თავისი მხატვრულ-შემოქმედებითი პროფილი და მყარი საფუძველი ჩაუყარა გმირულ-რომანტიკულ სტილს. ამას ადასტურებს იმ პერიოდის არა ერთი ბრწყინვალე სპექტაკლი. ამ რთული და ისტორიულად კანონზომიერი პროცესების მოწმე და მონაწილე იყო მხატვარი დიმიტრი თავაძე. იგი ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ს. ახმეტელისა და ი. გამრეკელის ძიებათა არსს, რომ უფრო მეტი ძალით ეგრძნო თეატრის მხატვრული სტილის თავისებურება.

დ. თავაძეს, როგორც თეატრალურ მხატვარს, ახასიათებს გამომსახველობითი საშუალებების ლაკონიზმი და ფორმის სიმკვეთრე. სპექტაკლის გაფორმებისას ის მუდამ იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება ფართო სამოქმედო ასპარეზი შეუქმნას მსახიობს; მხატვარმა კარგად იცის, რომ დეკორაცია სპექტაკლში — ეს არის მსახიობის ცა, მიწა, მისი პოეტური სამყარო; ამიტომ სცენური სივრცის პრობლემა განუყრელია მსახიობის შემოქმედებისაგან. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად დ. თავაძის მხატვრობას ყველა სპექტაკლში — იქნება ეს „ღრმა ფესვები“ თუ „ესპანელი მღვდელი“, „როცა ასეთი სიყვარულია“ თუ „ჩაძირული ქვები“, „საქმიანი კაცი“ თუ „ზღვის შვილები“.

დეკორაცია დ. თავაძის სპექტაკლში ქმნის არა მარტო საუკეთესო სცენურ გარემოს მოქმედ გმირთა ვნებებისა და ფიქრების გასაშლელად, არამედ ამასთანავე, წარმოადგენს ახალი აზრებისა და ემოციების შთამაგონებელ ძალასაც. მხატვარი რეალისტური კომედიაა, მაგრამ დ. თავაძემ მათ სრულიად განსხვავებული დეკორატიული გამოსახულება მოუძებნა. მან სწორი გზები და საშუალებები იპოვა, რომ ოსტატურად გამოეხატა ის, რაც ამ სპექტაკლებს აერთიანებს, და ისიც, რაც მათ ინდივიდუალურ თავისებურებას ქმნის. დახვეწილი კომპოზიციები, მარჯვედ მოძებნილი მოდენები, მრავალფეროვანი მიზანსცენებისათვის შექმნილი ეფექტური დანადგარი და სხვა დეკორატიული აქსესუარები ნათლად ამჟღავნებენ მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრეს.

დ. თავაძის შემოქმედება, როგორც ადრინდელ პერიოდში, ისე დღესაც გამსჭვალულია თანამედროვეობის მძაფრი სულისკვეთებით. მისი საუკეთესო ნამუშევრები აღბეჭდილნი არიან ჭეშმარიტი თეატრალობით, რომანტიკული ზეაწეულობით. ამაზე მეტყველებენ „როცა ასეთი სიყვარულია“, „შემოდგომის აზნაურები“, „ზღვის შვილები“, „ალკაზარი“ და სხვ.

დ. თავაძის მიერ გაფორმებული „როცა ასეთი სიყვარულია“ მოსკოველმა მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო. თეატრალური მხატვრობის სპეციალისტებმა აღნიშნეს: როცა მაყურებელთა დარბაზში შედიხართ და სპექტაკლის დაწყებამდე მხატვრობას უყურებთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს შექსპირის ტრაგედია უნდა გაითამაშონო. და მართლაც დ. თავაძემ შესანიშნავად იგრძნო პიესის ტრაგიკული კოლიზია, მისი მძაფრი და რომანსორსაც და მსახიობსაც უქმნის შესანიშნავ ატმოსფეროს, აადვილებს კონტაქტის დამყარებას მათ შორის.

დიმიტრი თავაძე, როგორც მხატვარი-დეკორატორი, ყოველთვის ეყრდნობა პიესის ბუნებას, მის სპეციფიკურ თავისებურებას. დრამატურგიული ნაწარმოების საგნობრივ-დეკორატიული გამოსახულება დ. თავაძის ნამუშევრებში გამოირჩევა თავისი რელიეფურობითა და მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნებით. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ჟანრის ნაწარმოებები, კერძოდ ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და ი. ვაკელის „საქმიანი კაცი“; სამივე სატიკულად ზეაწეული ბუნება. მკვეთრი და ლაკონიური ხაზები, ფართო სამოქმედო სივრცე, შავი ტონით შეფერილი დეკორატიული მოედნები და სიმბოლურად გააზრებული პირობითი დეტალები, რაღაც განსაკუთრებულ ძალასა და ექსპრესიას ანიჭებს სპექტაკლის მხატვრობას.

დიმიტრი თავაძე ეკუთვნის ჩვენი სახვითი ხელოვნების შესანიშნავ ოსტატთა რიცხვს, იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ჰქმნიან სოციალისტური რეალიზმის საფუძვლებზე აგებულ ახალ ქართულ ხელოვნებას.

ვასილ კიკნაძე





დ. თავაძე



„ბულბა“



„ყვარყვარე თუთაბერი“



„შემოდგომის აზნაურები“



„ესპანელი მღვდელი“



„შემოდგომის აზნაურები“

„ერთხელ დახოცილები“





ეროვნული ბიბლიოთეკა



გმირთა მოედანი.



აუზი.



სტადიონი.

# გიორგი ლეონიძე



რქაწითელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილები.



გზაზე

საქართველოს ისტორიული ძეგლები

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ႧႤႨႫႳႰႠႦ ႷႳႡႠႬႤႨႸႥႨႪႨ









# ანტრეკოტი

**ვასილ ბოლშაკი**

მხატვარი ც. იგნატოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობილი უკრაინელი მწერლის — ვასილ ბოლშაკის ორ მოთხრობას — „ანტრეკოტი“ და „უცოლო თავმჯდომარე“. ვ. ბოლშაკი ომის შემდგომ წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, თავის რომანებსა და მოთხრობებში ის გვიხატავს უკრაინის მშრომელთა განახლებულ ყოფას, საკოლმეურნეო ცხოვრების კოლორიტულ სურათებს, იმ თავგანწირულ ბრძოლას, რომელსაც უკრაინელი ხალხი სამამულო ომის წლებში ეწეოდა სამშობლოს დასაცავად ჰიტლერელთა ურდოებისაგან.

ვ. ბოლშაკის შემოქმედებაში მკითხველს ხიბლავს წრფელი და მომხიბვლელი, ხალისიანი უკრაინული იუმორი; ქვემოთ დაბეჭდილი მოთხრობები სწორედ ამ იუმორისტულ ციკლს განეკუთვნებიან. სულ ბოლო ხანებში ვ. ბოლშაკმა გამოაქვეყნა ახალი წიგნი „მე ფეხბურთის წინააღმდეგი არა ვარ“.

იცით რა არის ანტრეკოტი? არ იცით? იყო დრო, არც მე ვიცოდი. ახლა კი ვისწავლე. ერთხელ ცოლმა გადმომკრა:

— კვირა-უქმე დღეებში მაინც დამეხმარე ხოლმე, ხელები დამწყდა ბაზარში ჩანთის თრევით. თანასწორობაზე ლაპარაკობთ და მე კი...

ერთი სიტყვით, ურყევი საბუთებით დარცხვენილი, დავემორჩილე, ავიღე სანოვაგის ჩანთა და უხალისოდ გავყევი ჩემს დედაკაცს.

მივედით გასტრონომში. ჩემმა კატერინამ განკარგულება მომცა:

—შენ აი აქ დადექი, ხორცის რიგში, მე კი ბოსტნეულს ვიყიდი.

მეც ზუსტად ჩავიწერე უბის წიგნაკში, რა უნდა მეყიდა: ამდენი საბორშჩე ხორცი, მკერდის ნაჭერი ამდენი და საკატლეტე კიდევ ცალკე, ვდგავარ, ხალხს თვალყურს ვადევნებ. ერთი დიდედა, რომელიც რიგში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, თავისი ჭკვიანი შვილიშვილის ამბავს გვიამბობს:

— ერთხელ ზორიკი სკოლიდან მოვიდა. ვეკითხები: „ზორიკ, რა ნიშნები მოიტანე დღეს“. იმან კი — „ორიანიო“, — მიპასუხა. „როგორ თუ ორიანი“, — ვჯავრობ — „ასე. — მიხსნის ზორიკი,— ალეკომ და იურიმ ხუთიანები მიიღეს; ლორიმ — ოთხიანი, ვოვამ — სამიანი, მე აღარ მეყო“...

— შენი ერთი! პატარაა და უკვე ეშმაკობს, — გაიკვირვა ვიღაცამ.

ხალხი იცინის და ახლა ლოყებწითელა პატარძალს შესცქერის, რომელსაც ასე უხდება ბუნებრივი ხალი წარბს ზემოთ. ის რაღაცას ჰყვება და ხალხიც ისე უსმენს, როგორც ინდოეთში მახატმა განდის.

— ჩემი გოგო მხოლოდ ახლა წავიდა სკოლაში, პირველი წელია. მიმყავს და ვეკითხები: „რა ნიშნებს მომიტან ხოლმე, გენაცვალე, სკოლიდან? ხუთიანებს და ოთხიანებს?“ ის კი ისე, დარბაისლურად მიპასუხებს: „ყველაფერი იქნება“.

მაგრამ ჩემი ყურადღება უკვე ყასაბმა მიიპყრო. გუსავსე მთვარესავით მრგვალი პირისახე ჰქონდა. ბუღდა ღიმილი არც ერთი წუთით არ შორდებოდა მის სახეს და მხიარული სიტყვა — მის ბაგეს. ახლა მისი მოძრაობა დაგენახათ: ცირკშიაც კი კარგი იქნებოდა, პირდაპირ ჯამბაზად გამოდგებოდა. ოდნავ შეეხება ნაჯახით ძროხის ხორცსა და ისიც მაშინვე ორად იყოფა. ვერ მოასწრებს სასწორზე დადოს, რომ იმ წუთშივე აიტაცებს, სწრაფად ქაღალდში შეახვევს და ღიმილით გაუწოდებს მყიდველს:

— ძალიან ნუ მიეტანებით ხორცს, თორემ ჩქარა დაბერდებით. ფიგურა წაგიხდებათ.

ქალებიც უცინიან, მე კი არ მეცინება, ერთადერთი მამაკაცი ვდგავარ ხორცის რიგში.

რიგი ჩემზეც მოდგა. ამოვიღე ჩანაწერები მეუღლის ბრძანებისა. ყასაბმა-არტისტმა კი ცალი თვალი მე დამადგა, ცალით კი თავის მუდმივ კლიენტებს ანიშნებს: ხედავთ, მოეწვა, თვითონ მოვიდა.

ჩვეულებრივ აქეთ დაჰკრა, იქით დაჰკრა ნაჯახით და შეაგდო სასწორზე. ვერ მოასწრო ხორცმა დაშვებულიყო დაბლა, რომ ჯამბაზივით აიტაცა, შეახვია. მერე ისევ ნაჯახი აიღო, აქეთ დაჰკრა, იქით დაჰკრა.—საკატლეტეც გნებავთ, არა? ერთ წუთში...

ვერ ვასწრებ თვალი ვადევნო იმისი ხელების მოძრაობას, მაგრამ მაინც შევნიშნე, ხორცის მაგივრად ძვლები შემიხვია.

— ბოდიში, — ვუთხარი, — მე ხორცი გთხოვეთ და არა ძვლები.

ყასაბმა სახეზე საშინელი ნაწყენობა აღიბეჭდა.

— ეს ხომ ანტრეკოტია, რასა ბრძანებთ, — ისე დამაჯერებლად და ავტორიტეტულად წარმოთქვა ყასაბმა, რომ გავწითლდი და დავწყევლე ჩემი უვიცობა, უცბად გამოვვარდი მაღაზიიდან. თან მომდევდა თავშეკავებული და გამკიცხავი სიცილი — ხშირად იარე აქ, გეცოდინება რა რა არის.

ამასობაში კატერინამაც მოათავა თავისი საქმეები. ერთად წავედით სახლისკენ. ვბაასობდით ამაზე, იმაზე...

— აი რა კარგია: თან გაისეირნე, თან მე დამეხმარე.

სახლში რომ მივედით, მეუღლემ სიამოვნებით გაშალა ნავაჭრი. ჯერი მიდგა ძვლებზედაც.

— ეს რაღაა? — წარბები მაღლა აზწია კატერინამ, — ეს რა არის?

— ეს, — ავუხსენი, — ანტრეკოტია.

— რაა?

— ანტრეკოტი, — ვეუბნები.

— ჩვეულებრივი ძვლებია,— კატეგორიულად მომიჭრა კატერინამ.

მე აღარ მეხუმრებოდა და ვეცი ლექსიკონებს. ერთი ხსნიდა: ანტრეკოტი — შემწვარი კერძია. მეორე კი ამბობდა: ანტრეკოტი — ძროხის ხორცის ნეკნთაშუა ნაწილიაო.

გავეშურე კატერინასთან და სიხარულით თითი დავუდე ლექსიკონის ფურცელზე.

— ეს ხორცის გვერდზეც კი არ დებულა! — მიჩვენა ძვლებზე კატერინამ და შუბლი შეიკრა.

დიდი ხანი იყო ჩუმად, მერე კი ველარ მოითმინა და მაინც გადამიკრა:

— მართალს იტყვიან, გაგზავნე სულელი სალაშქროდ და თავსაც იქ დასტოვებსო...

მე გავიჯახუნე კარები და მეორე ოთახში ჩავიკეტე. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

კატერინას მთელ დღეს ის ანტრეკოტი ახსოვდა. მაგრამ დიდი ხნით არ უყვარს გაჯავრება. ჩქარა დავივიწყეთ ეს ამბავი. მეზობლის ძაღლმა სიამოვნებით შეახრამუნა ის ძვლები და ამით მოეღო ბოლო მთელ ამბავს.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს ანტრეკოტი კვლავ გაგვახსენდა. მე და კატერინამ გადავწყვიტეთ კვირას ქალაქგარეთ გავსულიყავით, სააგარაკოდ ოთახი მოგვეძებნა.

ავტობუსის გაჩერებასთან ჩვენც ჩავდექით რიგში. დაველოდეთ მანქანას და იერიშით ავიღეთ ადგილები. გავედით ქალაქგარეთ და ყველა უსიამოვნება დაგვავიწყდა. კატერინა ვიღაცის ტომარაზე ჩამოჯდა.

მივდივართ, გვიხარიან, ვტკბებით ტყისა და ველების ხილვით. უცებ კატერინა ნიდაყვით მანიშნებს: — შეხე აი იმ ცისფერ „ვოლგას“, რომელიც ჩვენ ავტობუსს წინ უსწრებსო.

ვუცქერი, განსაცვიფრებელი არაფერია. მანქანა როგორც სხვა ყველა მანქანაა, ახალი „ვოლგაა“, გრძელი წკეპლით — ანტენით, თილისმა შიმპანზეთი კაბინაში.

— ანტრეკოტი, — ჩაილაპარაკა კატერინამ.

და მეც მაშინ ვიცანი საჭესთან მხიარული არტისტი-ყასაბი.

იგი გადაწოლილიყო რბილ სკამზე, კმაყოფილი, ბედნიერი ეწეოდა სიგარეტს. თითქოს გვალიზიანებსო, გაგვისწრო ჩვენ და გვაჩვენა უკანა ფარზე ამპარტავნული ასოები — „მე-მე“.

კატერინამ მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა, თითქოს მითხრა: „აი, ესეც ანტრეკოტი. ნახე!“

— ჰო-ო! — ამოვიოხრე მე.

ამწვანებულ სოფელში, სადაც ჩვენ მივედით,

უცილობელი ლამაზი იყო. ჯერ არასოდეს ვყოფილვართ აგარაკზე და არ ვიცოდით საიდან დაგვეწყო ოთახის ძებნა.

— ბოძები დასინჯეთ, — მიგვასწავლა ერთმა კალათებაკიდებულმა დედაკაცმა.

გავსინჯეთ ბოძები და მართლაც წავაწყდით ერთ განცხადებას: „ქირავდება ოთახი ვერანდაზე გასასვლელით“.

— ვნახოთ ეს „ვერანდაზე?“ — შევეკითხე კატერინას.

წავედით, ის ქუჩაც ვიპოვეთ, ის სახლიც, და ავი ძაღლიც იმასთან. იმ სახლში ერთის მაგივრად ორი „ვერანდა“ იყო. ერთიდან გამოფუსფუსდა ფაშფაშა, შავგვრემანი ქალი, სამად ჩაკეცილი ღაბაბი ჰქონდა, ერთი სიტყვით, ჯანღონით იყო სავსე.

— მოაგარაკენი ხართ? ოთახს ეძებთ?

— ვეძებთ.

— ვთხოვთ, — შეგვიპატიჟა ოთახში „ვერანდათი“. და ისეთი ფასი გვითხრა, რომ ჩემს კატერინას თვალთ დაუბნელდა, მე კი, ფრონტგამოვლილს, ნერვებმა ცახცახი დამიწყო.

— მაშ როგორ გეგონათ? — ამართლებს დიდ ქირას სამღაბაბა, — გადასახადი აძლიე, შეაკეთე, მოაგარაკეებს გაუძელი. აი, ერთნი მოვიდნენ, ნახევარი დუჟინი ბავშვები მოიყვანეს. ბავშვები კი, იგივეა, რაც კალია. რო დაეცნენ ბაღში ხილს...

— ჩვენ კალია არა გვყავს, — ვეუბნები, — ერთი ბიჭუნა გვყავს.

— დედის ნებიერა იქნება, გაანაზებული. მთელ ხილს აჭამს, — მომუწა ტუჩები სქელად წასმული პომადით.

გარეთ გამოვედით და გავშრით: „ვერანდასთან“ იდგა ჩვენი ნაცნობი „ვოლგა“, ხოლო მანქანის გვერდით იდგა ყასაბი და ალერსიანად იღიმებოდა.

— ანტრეკოტი, — ამოიოხრა კატერინამ და სირბილით გავარდა ქუჩაში. მეც იმას მივყევი.

ჩვენ მაინც დავიქირავეთ ოთახი ნაცნობი ანტრეკოტ-ყასბის „ვერანდის“ ახლოს. ყასაბი ყოველ საღამოთი მოდიოდა ცისფერი „ვოლგით“, მხიარულად აუფუწუნებდა საყვირს და სამღაბაბა შავგვრემანი ბედნიერი ღიმილით უღებდა ალაყაფის კარებს.

ახლა კი, ეს ერთი ხანია აღარ ჩანს ჩვენი ანტრეკოტი, სადღაც გაქრა სოფლიდან სამღაბაბაც, ავი ძაღლიც, ურთი სახლში დასახლდა მოუსვენარი ბავშვების მთელი გუნდი — აქ ახალი საბავშვო ბაღი გახსნეს.

ანტრეკოტი რაღა იქნა? ამბობენ, სახელმწიფო ბინა მისცეს. მთელი მოწყობილობით, სმა-ჭამითაც კი. და იქ დაბინავდა ათიოდე წლით.

# ჩვენი თავმჯდომარე

Არ შეიძლება ითქვას, რომ ახალი თავმჯდომარე მოგვეწონა. რამდენი გამოვიცვალეთ ამ ხანში — ახალგაზრდებიც, ხნიერებიც, სპეციალისტებიც, ყოველნაირი სახლ-კარ-გადამწვარნიც. ყველა ისინი საარჩევნო კრებებზე გვპირდებოდნენ ყველამდე ოქროში ჩაგსვამთო, ბიოგრაფიებიც კარგი ჰქონდათ — გინდა მინისტრებად დანიშნე ახლავე. ის უკვე შემდეგ იყო, რომ ყოველ თავმჯდომარეს თავისებურად დაუცდებოდა ხოლმე ფეხი — ერთს ხელები ეზრდებოდა, მეორე არაფში აგდებდა კოლმეურნეობას, მესამე ისეთი დიდი ბატონი ხდებოდა, რომ იმასთან კარგი თამამი ვაჟიც ვერ მიეკარებოდა.

ეს კი, ვინ იცის, როგორი გამოდგება. რაც მართალია, მართალია, კრებაზე მკერდზე მუშტს არ იცემდა, არ ბაქიობდა: „შემოდგომაზე სამ კილო მარცვალს დაგირიგებთო“. თავისი ბიოგრაფია მოკლედ მოგვიყვა. ან კი რა ბიოგრაფია ჰქონია — საბავშვო ბაგა და ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი. ჩვენთან მოსვლამდე მეცნიერებათა აკადემიაში უმუშავნია.

დავლონდით, ამოვიოხრეთ რამდენჯერმე და ავირჩიეთ. დაე, ახლა მეცნიერმა გვითავმჯდომაროს.

მაგრამ ყველა არ დალონებულა. გოგონები ყველაზე ადრე და ყველაზე მაღლა სწევდნენ ხელს. ღირსიც იყო, ტანადობით ჩვენი თავმჯდომარე ნამდვილი ვაჟკაცი ჩანდა. კუნთები მოჭიდავე ივანე პოდდუბნის მიუგავდა, ყოველ ჯანმრთელისას აბრეშუმის პერანგის ქვეშ პირდაპირ უთამაშებდნენ. ერთი სიტყვით, ძალზე ლამაზი კაცია. ქალიშვილი არა ვარ და კაცების მომხიბლაობაზე მეტი რა გითხრათ, მაგრამ ვაჟკაცური სიმარჯვე კი არ აკლია; ღიმილი კი, ისეთი ღიმილი აქვს, გოგონა რომ ვიყო, მეც იმის მხარეზე ვიქნებოდი, მეც ხელს ავწევდი და ალბათ სხვებზე უფრო მაღლა.

და აი, გვიან საღამოთი, დავიშალენით კლუბიდან, ახალ უფროსებზე ვთუხთუხებდით. კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფილიპე მოტოვი გაჯავრებით ქაჩავდა თუთუნს და სიტყვებს კბილებში სცრიდა:

— აბა, ამასაც მოვესწარით... ეგ სკოლაში პიონერხელმძღვანელად ან ფიზკულტურის მასწავლებლად თუ გამოდგება, თორემ ისე... ფაქტია.

მაგრამ ბიჭები მას ყურს აღარ უგდებდნენ. „იქნებ ამან მაინც გვიყიდოს სასპორტო მოტოციკლი!“ — ოცნებობდნენ ისინი.

ახლა არ იკითხავთ გოგონების ფარაჯნებში რა ხდებოდა!

— ამბობენ, ცოლი არა ჰყავსო...

— ეს, მასეთი თავმჯდომარე სად გინახავს! ბიჭუნას გამოგვიგზავნიდნენ ახლა, აი...

— შენცა თქვი რაღა. არ გაიგონე, კომორგად იყოო. განა ცოლიანი კომორგი გინახავს? აი, ჩვენი გრიცკო...

— შეადარე შენცა... ქალაქში ცოლს ადრე ირთავენ, რომ ბინა მიიღონ...

ცხადია, ახალ თავმჯდომარეს ეს ბაასი არ გაუგონია. გავიდა რამდენიმე კვირა. ხალხი თვალს ადევნებდა პეტრე მიხაილოვიჩს. ერთს საღამოს ჩვენი თავმჯდომარე გახარებული ჩამოვიდა კიევიდან და გამოგვიცხადა:

— ხვალ გვესტუმრებიან მწერლები და მსახიობები.

ჭორივით სწრაფად მოედო სოფელს ეს ამბავი. იმდენი ხალხი მოიკრიბა ჩვენს ძველ კლუბთან, ნემსი არ ჩავარდებოდა. მხოლოდ ფილიპე მოტოვი დაძრწოდა დერეფანში ნათავმჯდომარევებსა და ნაბრიგადირალებს შორის და კბილებში სცრიდა:

— კარგად ვერ იწყებს ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი... ფაქტია.

ფილიპეს ეთანხმებოდნენ. მის უხეირო ხუმრობაზე იღრიჭებოდნენ. თან აგონებდნენ, რომ აქამდე ახალ თავმჯდომარეს მოტოვისთვის არავითარი პორტფელი არ შეუთავაზებია. და ახე ხელ-ხელა „ოპოზიციამ“ დარბაზში შეაღწია. ისინი ფეხზე იდგნენ, ქუდებიც არ მოუხდიათ და ამით გამოხატავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ფილიპე თუთუნსაც კი ეწეოდა. ქალებმა შეუტიეს და მოტოვმაც საჩქაროდ ხელის გულზე გააქრო პაპიროსი.

ჯერ მწერლები გამოვიდნენ. ერთმა ახალგაზრდა მორცხვმა პოეტმა წაიკითხა ლექსი თავისი ბავშვობის წლებზე — როგორ მწყემსავდა ხბოებს და ფეხშიშველა ნამიან ბალახებში დარბოდა, წაიკითხა ბაღებისა და ტყეების შესახებ, ბულბულებსა და გვრიტებზე, გუგულებსა და ჭადრებზე, კვერნებსა და მწყერებზე. გოგონები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს, ხნიერი კაცები და დედაკაცები თავდაჭერილად ახველებდნენ. მოეწონათ სხვა გამოსვლებიც, მეტადრე გამოსვლა სატირიკოსისა, რომელსაც ჭაღარა ფაფარი და სახის ავი გამომეტყველება ჰქონდა. ის ისე გემრიელად ჰყვებოდა არაკსა და საუზმეს, რომ ოპოზიციის ლიდერიც კი იშტაზე მოიყვანა.

— საქმის დიდი მცოდნეა ეს ადამიანი... ფაქტია. ეტყობა, კარგად შეუსწავლია მასალა, — იღრიჭებოდა ფილიპე.

შემდეგ მეორე განყოფილებაც იყო, კონცერტი. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ფარდა გაიწია. ნაზი ჰანგები ჟღერენ. სცენაზე გამოიშალნენ გოგონები თეთრი, მოკლე ქვედატანებით, როგორც კიევის ოპერაში. ისე ლამაზად, ისე კარგად ცეკვავენ... დარბაზი მიყუჩდა. ფილიპემაც კი გაიტრუნა. მუსიკას უსმენს ყურებითაც, დაღებული პირითაც.

მერე მოკლე ქვედატანიანი და ტიტველ-წვივიანი გოგონები კულისებში გაიფანტნენ და იმათ მაგივრად სცენის სიღრმიდან ცეკვით თითქოს მოცურავდნენ ქალი და ვაჟი, ხალხი გაინაბა და თვალებს არ უჯერებდა — თავიანთი თავმჯდომარე იცნეს...

რომ თავმჯდომარე ცეკვავდა, კოლმეურნეებს ამაში ცუდი არაფერი დაუნახავთ, განა ფილიპე მოტოვი არა ცეკვავდა? ცეკვავდა და მერე როგორ! ქორწილსა და ნათლობაში რომ ჩამოუვლიდა გადაზნექ-გადმოზნექით, ახლა ჩაბუქნავდა — მაგიდაზე თეფშებიც კი ხტოდნენ. თან ისეთ სიტყვებს დააყოლებდა ხოლმე, რომ დედაკაცები სულ გარბოდნენ სახლიდან...

შეერჩივნენ. რას არ ჩადიოდა ფილიპე, რას არა როშავდა მთვრალი, მაგრამ ჩაცმული იყო — წაღები ეცვა, ტანთ ემოსა, შარვალიც ზედა ჰქონდა.

ეს კი სცენაზე უშარვლოდ გამოვიდა, თეთრი, მოკლე, პატარა, ვიწრო ტრუსებით — სულ ერთია, თითქოს არაფერი სცმიათ. დარბაზმა ერთი მძიმედ ამოიოხრა. ხნიერმა კაცებმა და დედაკაცებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს, თავის ქნევით:

— ეჰ! ჰე-ჰე!

— შეგვინდე და შეგვიწყალე უფალო!...

ფილიპესა და „ოპოზიციას“ დღესასწაული დაუდგათ.

— აი, ხომ გითხარით! ჩვენდა საუბედუროდ მოცეკვავე აგვირჩევნია. ახლა კორდებალეტი წავა... ფაქტია.

სახლებში რომ ბრუნდებოდნენ, ხნიერი ხალხი ოხრავდა.

— ფილიპემ არაფში ჩაახრჩო კოლმეურნეობა, ეს კი აგვაცეკვებს...

მარტო ქალიშვილები იყვნენ გახარებულნი.

— ოჰ, გედივით არ დაცურავდა სცენაზე!...

— დაცურავდა კი არა, ქარივით დაჰქროდა...

— ახლა ჩვენც გვეყოლება კლუბში ქორეოგრაფიული ჯგუფი.

— ჯერ ნამდვილი კლუბი უნდა ვიქონიოთ...

მეორე დღეს ბრიგადირებმა გესლიანი ღიმილი ულვაშებში ჩაიმალეს და თავდაჭერილად მიესალმნენ ახალ თავმჯდომარეს, თითქოს მას რაღაც დაეშავებინოს ხალხის წინაშე. ფილიპემ კი, დილითვე გადაკრულმა, აშკარა დაცინვით მიუგდო:

— ჩვენს უფროსს ფიზკულტურული სალამი! ზორბათ ხტოდი გუშინ... ფაქტია.

იმ დღეს კოლმეურნეები არ ჩქარობდნენ სამუშაოზე, იკრიბებოდნენ ჯგუფებად, ბაასობდნენ წინა დღის, როგორც ფილიპე ამბობდა, კორდებალეტზე.

— ჰო-თ! შორს წავალთ ჩვენი მოცეკვავის ხელში...

როდესაც ეს ლაპარაკი თავმჯდომარემდის მივიდა, მან დაიწყო თხრობა, რომ დიდი ხანია უყვარს ბალეტი, უნივერსიტეტის ანსამბლთან ერთად მოსკოვში გამოდიოდა ხოლმე, დიდ თეატრში. თურმე სიგელები და პრემიებიც აქვს მიღებული.

მაგრამ ამ ახსნა-განმარტებამ ხალხში დაღვრემილობა ვერ გაფანტა.

სადილს შემდეგ თავმჯდომარე მექანიზატორებს გვეწვია. სწორედ მაშინ გაიჩერა მაქსიმე ზამოროკამ ტრაქტორი. კარგა ხანი ვჩხირკედელაობდით ტრაქტორის ირგვლივ, მაგრამ შეფერხების მიზეზი ვერ გავარკვიეთ.

— რათა ვდგევართ, ბრიგადირო? — ეს მე შემეკითხა.

მაქსიმეს გამურული სახე მოელუშა, ვითომ ძალიან ნაწყენი ვარო, თავი მოიფხანა და ტრაქტორზე უჩვენა:

— ნაპერწკალი დავკარგეთ...

დაიჩოქა და ვითომ ნაპერწკლის ძებნა დაიწყო ბალახებში.

ვინც იქ იყო, ძლივს შეიკავეს თავი, რომ არ ახარხარებულიყვნენ, თავმჯდომარე კი მოულოდნელად შეეკითხა:

— ჯვარობაზე ხომ არ გაიქცა ნაპერწკალი? ხომ არ გინდა წახვიდე, მოძებნო?

ამას კი არავინ მოელოდა. მე გავიხსენე — მართლაც, მეზობელ სოფელში დღეობა იყო. იქ ნახევარი სოფელი მაქსიმეს ნათესავები იყვნენ, „ნუ თუ მაქსიმემ მართლაც ამიტომ იცუღლუტა-მეთქი“, გავიფიქრე. თავმჯდომარემ კი ამასობაში პიჯაკი გაიხადა, მკლავები დაიკაპიწა და მოტორთან ჩაიმუხლა. ჯერ მაგნეტოს შეეხო, კარბურატორში შეიხედა და სარქვლები იკითხა:

— აბა, დაატრიალე.

ზამოროკას სახის კუნთები დაეჭიმა. ეცა სახელურს. მოტორმა დაიჭოშინა და არ მოიმართა. თავმჯდომარე დაუზარებლად შეძვრა ტრაქტორის ქვეშ. ზამოროკას სახე შეეშალა, მაგრამ ინტიბარი არ გაიტეხა და ისიც შეძვრა.

— გაყვანილობა სადღაა? — წყნარად, მაგრამ მკაცრად იკითხა თავმჯდომარემ.

— რარა გაყვანილობა?

— გაყვანილობა მონახე და არა ნაპერწკალი... სწრაფად!

მერე ორივე გამოძვრა ტრაქტორის ქვეშიდან. თავმჯდომარემ შუბლი შეიკრა, „ბელომორი“ ამოიღო. მაქსიმკამ კი, თვალების მაღლა აუწევლად, სწრაფად აამუშავა ტრაქტორი და კვალზე წაიყვანა.

— აი, ხედავთ. ნაპერწკალიც იპოვა და აღარც დღეობაში წავიდა... — თქვა თავმჯდომარემ, ცხენს მოახტა და მინდორს გაჰყვა.

ეს ამბავი ჩქარა გაიგო ყველამ, თითქოს რადიოთი გადასცეს, თანდათან შეწყდა გესლიანი ჩურჩული, ნაკლებად იგონებდნენ იმ კონცერტსაც. ახალი თავმჯდომარე თითქოს გამოიცვალა, გაიზარდა; ამასთანავე, კაპეიკმაც დაიწკარუნა კოლმეურნეობის სალაროში, მეცხოველეობის ფერმაც გაიზარდა, ასობით ახალი სახლებით დამშვენდა სოფელი. კულტურის სახლიც ახალი ააშენეს.

სხვა ცვლილებაც ბევრია. ფილიპე მოტოვმა პორტფელს აღარ მოუცადა და რიგით სამუშაოზე გავიდა. ირჯებოდა, როგორც ყველა. გაიარეს წლებმა. და ფილიპემ მაინც ამოუშვა პირიდან:

— გამოდის, რომ ჩვენ თავმჯდომარეს არა მარტო ცეკვა სცოდნია... ფაქტია.

თარგმანი უკრაინულიდან
გიორგი ნამორაძისა







ნოდარ ნარსია

## მოდი, მობრძანდი...

მოდიხარ,
ბევრი სიცილი მოგაქვს,
მოდი,
მობრძანდი ახალო წელო,
ჩვენც დაგახვედრებთ უამრავ ნობათს,
მოდი,
მობრძანდი ახალო წელო.

აალებული გუგუნებს სუფრა,
ადიდებული სიმღერა მძლავრობს...
შემოგვიერთე ეგ შენი სუნთქვა,
მოდი,
მობრძანდი კეთილო მგზავრო.

საცაა ჭერი აიწევს მაღლა,
ასეა მუდამ, —ვზეიმობთ როცა...
გარდა ლხინისა რა გვინდა ახლა,
მთელი არსებით გელი და გლოცავ.

გადმოგვაფრქვიე ღიმილი თბილი,
დაგხვდებით ღია გულით და ღვინით...
ჩემს სამშობლოს და
ჩემს დედა თბილისს
ნურც მოკლებია სუფრა და ლხინი.

გიყვარს და...: ყველგან სიკეთე თესე,
ნურარც ჰქონია სიკეთეს ზღვარი...
შენც გვისაზრდოვე სიცოცხლის ფესვი
და სამშვიდობო ჩამოჰკარ ზარი.

გზა დაულოცე ბედნიერ წყვილებს,
მათ დიად მიზნებს უსწორე მხარი...
არ მოგეტანოს ზიანიც მცირე,
მოდი, მობრძანდი
და გაგვახარე.

მოდი,
მობრძანდი...
დაფდაფებს დაჰკარ,
ამ სიხარულში მომავალს ვხედავ...
დიდა დამღერის ქალ-ვაჟის აკვანს,
კურთხეულ იყოს ქართველი დედა!
...ადიდებული სიმღერა მძლავრობს,
შემოგვიერთე ეგ შენი სუნთქვაც...
მოდი,
მობრძანდი კეთილო მგზავრო,
ნურც მოგვკლებია ლხინი და სუფრა!



1



3

# და ისევ

2



ლეგენდებით იყო მოცული კოლხეთის უძველესი მიწა; ეს ლეგენდები, პირველ რიგში, ამ მხარის ზღაპრულ სიმდიდრეზე მეტყველებდნენ. მაგრამ ასეული და ათასეული წლების მანძილზე მაინც ხელუხლებელი იყო ეს საგანძური. იგი მხოლოდ საბჭოთა ადამიანების წინაშე გადაიშალა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიდიადით.

კოლხეთი დღეს ნარინჯების, „მწვანე ოქროს" და სხვა სუბტროპიკული კულტურების უმდიდრესი მხარეა. სწავლულები ამტკიცებენ, რომ კოლხეთის „საკუჭნაოს" სიმდიდრე მარტო ამით არ ამოიწურება, რომ აქ არის გაზიც, ნავთობიც და ვინ იცის კიდევ რა; და ადამიანები კვლავ იწყებენ მათ გულმოდგინე ძებნას...

ჩვენი ფოტორეპორტაჟიც სწორედ ამ დაუღალავი მაძიებლების ერთ-ერთ ჯგუფზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფს ეწოდება ტრესტ „საქნავთის" გეოფიზიკური ექსპედიციის კოლხეთის სეისმური პარტია.

მიზანი, რომელიც ამ პარტიის მუშაკებს აქვთ დასახული, არის ნიადაგის ღრმა გეოლოგიური აღნაგობის შესწავლა ნავთობისა და გაზის მოსაძებნად. ამ მიზნისაკენ ბევრი გზა მიდის, მაგრამ მთავარი მაინც სეისმური დაზვერვაა, ე. ი. მიწისქვეშა გარემოს შესწავლა ხელოვნური მიწისძვრების მეოხებით.

თურმე მიწისძვრაც შეიძლება ხელოვნურად მოაწყოს ადამიანმა. ჭაბურღილის განსაზღვრულ სიღრმეზე სდებენ ფეთქებად ნივთიერებას. აფეთქების ენერგია წარმოქმნის მკვრივ ტალღებს, რომლებიც გავრცელებისას აირეკლებიან ქანების ზედაპირიდან ან გადატყდებიან მათში.

სპეციალური ხელსაწყოები — სეისმომიმღებები იწერენ ტალღების სიგრძესა და გავრცელების სისწრაფეს. ამ მონაცემების დაზუსტების შემდეგ გეოფიზიკოსები ადვილად განსაზღვრავენ შრეების სიბრტყეთა და ჰორიზონტთა ჩაწოლის სიღრმეს. მერე ადგენენ სტრუქტურულ რუკას და აკეთებენ დასკვნებს ღრმად ბურღვის მიზანშეწონილების შესახებ.

სეისმურ პარტიას ბაზა ფოთში აქვს, მისი მოქმედების რაიონი — კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილია. ყოველ 8.700 მეტრის შემდეგ აქ მოწყობილია აფეთქების პუნქტი.

გეგმაზომიერი შეტევა ნავთობის შემცველ ფენებზე გრძელდება. უძველესი კოლხეთის ცის ქვეშ გრიალებენ მშვიდობიანი აფეთქებები.

*სურათებზე:*

1. შეხედეთ ამ ჰეიზერს. აფეთქებამ ჰაერში აიტაცა წყლის სვეტი, რომლის სიმაღლე 100 მეტრს აღემატება.
2. სეისმოგრამის კითხვა.
3. ესენი მეთევზეები არ გეგონოთ, რომლებიც ბადეებს აკერებენ. პარტიის მუშაკები ამოწმებენ სეისმოდასაზვერ კაბელს.
4. მოძრავი სეისმოსადგური. რადისტი დურმიშხან თანდილაშვილი (მარცხნივ) და უფროსი ოპერატორი — გეოფიზიკოსი სოსო მაღრაძე ამზადებენ აპარატურას სეისმური ტალღების მისაღებად.
5. პარტიის უფროსი თენგიზ მირზაშვილი კოლეგებთან ერთად განიხილავს მორიგი აფეთქების შედეგებს.
6. ჭაბურღილის მომზადება აფეთქებისათვის.
7. მოდით შევისვენოთ... ოთხნი პლაჟზე, საბურღი მანქანის ახლოს.
8. აი როგორ გამოიყურება კოლხეთის დეპრესიის ერთ-ერთი პროფილის გეოლოგიური ჭრილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა





5

4

6

ექსპედიცია



7





8



ქართველი ერის სიამაყე დიდი ვაჟა-ფშაველა ქვირშიც და ლხინშიც თავის ხალხთან იყო. პოეტი მუდამ მოუწოდებდა ხალხს ნათელი მომავლისაკენ, აღაგზნებდა თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ასე იყო რუსეთის პირველი რევოლუციის დროსაც. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლების გავლენით ამოძრავდა მთაც. ფშავხევსურებმაც შეუერთეს თავიანთი საპროტესტო ხმა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აბობოქრებულ ხალხს. მშობლიური კუთხის გლეხთა ამ მოძრაობის გაჩაღებაში ვაჟას დიდი ღვაწლი მიუძღოდა.

იმ დღეების მომსწრეთა გადმოცემით ცნობილია, რომ 1905 წელს ვაჟას რამდენჯერმე მოუწვევია ფშაველებისა და ხევსურების კრება ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, „ფშავ-ხევსურეთის გლეხთა ყრილობა". მაღაროსკარის ეკლესიაში ხმალზედაც კი დაუფიცებია ისინი მშრომელი ხალხის ინტერესთა ერთგულებასა და მეფის რეჟიმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებაზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ფშავხევსურეთის გლეხთა მოძრაობაში ვაჟა-ფშაველას როლს ეხება ლენინურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" მოთავსებული სტატიის ერთი ადგილიც.

გაზეთი „ნოვაია ჟიზნი" ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი ლეგალური ორგანო იყო. იგი გამოდიოდა პეტერბურგში, რუსეთის რევოლუციის უველაზე მღელვარე პერიოდში — 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) — 3 (16)დეკემბრამდე. „ნოვაია ჟიზნი" ერთ-ერთი უველაზე საინტერესო, გავლენიანი და პოპულარული გაზეთი იყო ბოლშევიკური პრესის ისტორიაში. გაზეთის ტირაჟი შეადგენდა 80 ათასს. ეს ძალიან დიდი ტირაჟი იყო მუშური გაზეთისათვის მეფის თვითმპყრობელობის დროს. გაზეთს რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი, მასში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკ ჟურნალისტთა და ლიტერატორთა საუკეთესო ძალები. რედაქციაში ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი.

„ნოვაია ჟიზნში", ისევე როგორც სხვა ბოლშევიკურ გაზეთებში, მრავალი მასალა იბეჭდებოდა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაზე, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმ სტატიებს, რომლებიც ეხებოდნენ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას. ოთხი სტატია „მ. მ. შ-ს", „მ. შ-სა" და „მ. მ. შახ-ის" ხელმოწერით გაზეთში ზედიზედ დაიბეჭდა (№ 5, 7, 9, 14). ისინი ეკუთვნოდა მ. შახნაზაროვს, ავტორს წიგნისა „გლეხთა მოძრაობა საქართველოში და სოციალ-დემოკრატია" (მოსკოვი. 1906 წ.).

ზემოხსენებული ავტორის მეოთხე სტატიაში სათაურით „გლეხთა მოძრაობის საკითხისათვის საქართველოში" არის ერთი ადგილი, რომელიც ნათელს ჰფენს იმას, რომ რუსეთის რევოლუციის დაწყებამდე, 1904 წელს ხევსურეთში მომხდარა ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღებული შეტაკება კაზაკებთან მეფის ჯარებში ახალგასაწვევთა საკითხის თაობაზე.

# ᲞᲝᲔᲢᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ



ავტორი სახავს რეაქციის ძალების, კერძოდ მეფის არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს და ლახავს:

«Эту политическую аксиому как нельзя лучше, восприняло грузинское крестьянство, которое, несмотря на опасность быть задушенным в крови, ведет упорную борьбу на этой почве с самодержавным правительством.

Ежегодно, к моменту призыва, деревни и города Тифлисской и Кутаисской губерний превращаются в арены кровавых столкновений между правительственными агентами — вербовщиками и революционным крестьянством, наотрез отказывающимися давать новобранцев на «убой»...

Особенно резкий характер приняли эти столкновения в прошлом году. В Қавсургетию (Тифлисской губ.) были отправлены казаки для привлечения новобранцев силой, но вооруженное население прогнало их».

რედაქციას დაუშვია უნებური შეცდომა და ხევსურეთის მაგიერ „კავსურგეთი" დაუბეჭდავს.

როგორც ვხედავთ, ხევსურ გლეხებს არა მარტო გადაჭრით უთქვამთ უარი ხელისუფალთათვის თავიანთი შვილების ჯარში გამწესებაზე იაპონიასთან ომში გასაგზავნად, არამედ შეიარაღებული წინააღმდეგობაც კი გაუწევიათ მათთვის და გაურეკიათ სოფლებიდან.

მართალია, სტატიაში არ არის მითითებული ხევსური გლეხების ამ გამოსვლის ორგანიზატორის შესახებ, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურეთში მეფის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს ვაჟა-ფშაველა ედგა სათავეში! უნდა ვივარაუდოთ, რომ ისევე, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, „გასულ წელსაც" — ე. ი. 1904 წელს, როგორც ავტორი წერს, ხევსურების შეიარაღებულ გამოსვლას მეფის ხელისუფალთა და კაზაკთა წინააღმდეგ ვაჟა ხელმძღვანელობდა.

ამგვარად, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გაზეთი „ნოვაია ჟიზნი" ავსებს ჩვენს ცოდნას დიდი ქართველი მწერლის — ვაჟა-ფშაველას რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ფშავ-ხევსურეთის გლეხთა შორის.

ილია ნატროშვილი

# ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲣᲡᲛᲔᲜᲔᲜ ᲔᲥᲕᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ

რაც დრო გადის, მით უფრო უმეგობრდებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები, მით უფრო ხშირად იკრიბებიან ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და მსგავს საერთაშორისო შეხვედრებზე. ამ დროს ბუნებრივად წარმოიქმნება თითქოს გადაულახავი დაბრკოლება: სად გამოძებნონ ორმოცდაათი, და იქნებ მეტი მთარგმნელი, რომლებიც მოემსახურებიან სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე, ვთქვათ, ერთად თავმოყრილ სამას ან ხუთას მეცნიერს? აქ, რა თქმა უნდა, სრულიად გამოუსადეგარი იქნება თარგმნის ის პრიმიტიული წესი, როცა მომხსენებლის გვერდით ერთი მთარგმნელი დგას და აუდიტორიას ერთ ენაზე უთარგმნის მოხსენებას.

თითქოს გამოუვალი მდგომარეობაა. მაგრამ ადამიანმა მანქანის დახმარებით მაინც გადალახა ეს სიძნელე. ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, სადაც მერხები ამფითეატრადაა განლაგებული და 318 მსმენელი ეტევა, ამ სამი-ოთხი თვის წინ დაამონტაჟეს სინქრონული ორმხრივი თარგმნის აპარატურა. ეს მოწყობილობა აუდიტორიის სამასთვრამეტივე მსმენელს საშუალებას აძლევს სურვილისამებრ მოისმინოს რომელიც გნებავთ ენაზე გადმოცემული მოხსენების ექვსი თარგმანი.

როგორ მოხერხდა ამ რთული საქმის მოგვარება?

აუდიტორიის ყოველი მსმენელის წინ მერხში ჩადგმულია ე. წ. მსმენელის პულტი, სადაც მოთავსებულია ყურსასმენის ბუდე, ხმის გამაძლიერებელი და გადამრთველი, რომლის სახელურის მარცხნიდან მარჯვნივ ან პირუკუ გადართვისას მოვისმენთ ექვსი ენიდან ჩვენთვის ყველაზე უფრო გასაგებ ენას. ამას გარდა, აუდიტორიაში დადგმულია მომხსენებლის კათედრა, მთარგმნელთა ხუთი კაბინა და დისპეტჩერის მაგიდა. დანარჩენი აპარატურა (გამაძლიერებლები, ტრანსფორმატორები და სხვ.) მოთავსებულია აუდიტორიის მოსაზღვრე ოთახში.

დისპეტჩერი ხელმძღვანელობს მთარგმნელებს, ხოლო აპარატურის ექსპლოატაციის უფროსი თვალყურს ადევნებს აპარატურის მუშაობას. ვთქვათ, მომხსენებელი ლაპარაკობს ინგლისურად. მაშინ პირველ კაბინაში მჯდომი ინგლისური ენის მთარგმნელი მოხსენებას გადათარგმნის რუსულ ენაზე. მისი ხმა საგანგებო გამაძლიერებელზე გავლით გადადის მსმენელის პულტსა და დანარჩენ ოთხ კაბინაში, სადაც სხვა მთარგმნელები რუსულად მოსმენილ მოხსენებას ცალ-ცალკე გადათარგმნიან, ვთქვათ, ფრანგულ, პოლონურ, გერმანულ და იტალიურ ენაზე, თვითეულ ამ ენაზე ნათარგმნი ასევე ცალ-ცალკე გადადის მსმენელთა პულტში. მსმენელს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პულტზე მოწყობილი გადამრთველით შეუძლია „ჩართოს" ის ენა, რომელსაც იგი ყველაზე უკეთ ფლობს.

სხვა ქვეყნების სინქრონული თარგმნის მსგავს აპარატურასთან შედარებით თბილისში დადგმული აპარატურა მარტივი და მოსახერხებელია. იგი აქ დაიდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ე. ხარაძის თაოსნობით. ამ მეტად საჭირო საქმის მოგვარებაში დიდი ამაგი მიუძღვის უნივერსიტეტის კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის უფროს ინჟინერს გრიგოლ რცხილაძეს, რომელსაც უშუალო დახმარებას უწევდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის უფროსი ს. ზახაროვი, აგრეთვე კიბერნეტიკისა და ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორიების უფროსი ინჟინერი გ. შერაზადაშვილი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. პოპოვიძე, მექანიკოსი შ. ჯავახაძე, დურგლები ბ. სიდოროვი და ლ. ალიფეროვი, ზეინკალი შ. ბოჭორიშვილი და ხარატი შ. ტოროშელიძე.

თბილისის უნივერსიტეტში დამონტაჟებულ სინქრონული თარგმნის აპარატურას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და მეტად საინტერესო მომავალი აქვს.







ჯონ სტეინბეკი და ირაკლი აბაშიძე.

# კალამი, დუდუკი და სალამური

გულნარა ბახტაძე

კიბეზე მძიმედ მოაბიჯებს მაღალ-მაღალი კაცი. დროდადრო კოურებიან შავ ჯოხს ებჯინება, ცალ თვალს ჭუტავს და გასაოცარი ყურადღებით აკვირდება დამხვდურებს.

ეს არის, ნამდვილად ეს არის. ეს კაცი მწერლის ტიპიური პორტრეტია. ვერაფერს მიუმატებ, ვერც გამოაკლებ.

ჯონ სტეინბეკი მიჰყვება თბილისის ქუჩას და, თითქოს გაცოცხლდნენ გმირები მისი წიგნებიდან; აგერ მექსიკელი მეთევზე კინო, ეს კი ხუანაა, აგერ საბაყლო დუქნის გამყიდველი ითენ ჰოული, ძუნწი მარული. ჩარლი, ეს დაბერებული პუდელიც ჩამოჰყოლია მწერალს.

ჯონ სტეინბეკი — ნობელის პრემიის ლაურეატი... მის სახელს ჩვეულებრივ ახსენებენ ამერიკის უდიდეს მწერალთა შორის. დღეს იგი ავტორია თექვსმეტი რომანის, მოთხრობების კრებულების, ორი პიესის, კინოსცენარის, მრავალი პუბლიცისტური წიგნის. მისი წიგნები თარგმნილია ათობით ენაზე. მის შემოქმედებას ეძღვნება მონოგრაფიები, დისერტაციები.

ოცდაათი წლის წინათ კი მის სახელს სამშობლოშიაც არავინ იცნობდა. ამერიკელი გამომცემელი პასკალ კოვისი ჩიკაგოში, ბუკინისტებთან შემთხვევით წააწყდა „ვილაც სტეინბეკის" წიგნს. მგზავრობის დროს რომ თავი შეექცია, იყიდა იგი. წიგნმა პირველი სტრიქონებიდანვე მოხიბლა გამომცემელი. სულის ერთი ამოთქმით გადაიკითხა და მაშინვე მოჰყვა ავტორის ძებნას.

ახალგაზრდა ჯონ სტეინბეკი ამ დროს კალიფორნიაში, კარვების ქალაქში ცხოვრობდა. პასკალ კოვისი მის საძებრად აქეთ გამოემგზავრა და აი, როგორ იპოვნა იგი: „მინდორში დგას ერთი ჯმუხი ახალგაზრდა, იგი სატვირთო მანქანის შოფერსა ჰგავს. აცვია ლურჯი სამუშაო შარვალი და სვიტრი. ქუდი გვერდზე მოუქცევია; მან შეხედა თუ არა ამ კაცს, სხვა აღარ უძებნია, მივიდა მასთან:

— შენა ხარ ჯონ სტეინბეკი! — უთხრა და თითი დაადო გულზე.

— რა ეშმაკმა მიგახვედრათ! მე ხომ არ გიცნობთ თქვენ? — გაიკვირვა ახალგაზრდამ.

გამომცემელს ეს აღმოჩენა არც ისე ძნელი მოეჩვენა. იმას ერთი უტყუარი საბუთი ჰქონდა — მისი წიგნი წაეკითხა. და მართლაც, არ შეიძლება შეცდე მის გამოცნობაში, თუ მისი წიგნი წაგიკითხავს.

ჯონ სტეინბეკი ტყუილად როდი ცხოვრობდა კარვების ქალაქში — თხრიდა ორმოებს, კრეფდა ხილს პლანტაციებში. იგი გაჰყვა მიწიდან აყრილ ფერმერებს, ოკლოჰამიდან კალიფორნიამდე, გაიარა მეტად ძნელი და საშიში გზა. ჯერ გმირი იყო თვითონ და მერე იქცა თავისი შესანიშნავი რომანების ავტორად.

როცა მან „რისხვის მტევნებზე" დაიწყო მუშაობა, იგი თავის გამომცემელს წერდა: „მე უნდა გავემგზავრო კალიფორნიის ხეობაში, იქ ხუთი ათასი ოჯახი იხოცება შიმშილით, მე იმდენად ვარ შესისხლხორცებული ამ საქმესთან, ვალდებული ვარ წავიდე, ვინძლო რაიმე გავაკეთო, რომ თავში ჩავცხო მკვლელებს. ბავშვების შიმშილით სიკვდილი ჩვენს ხეობებში ამაზრზენია... მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც ძალმიძს. რა უმნიშვნელო რამედ იქცევიან წიგნები ასეთი ტრაგედიის წინაშე"...

მწერალმა მართლაც რომ გააკეთა ამისათვის რაც შეეძლო და მისი წიგნიც გამოვიდა დიდი და მნიშვნელოვანი. წიგნი დაიბადა აღშფოთებიდან: პატიოსან ადამიანს არ შეეძლო მშვიდად ეცქირა შიმშილისა და უსამართლობისათვის; ასე დაიწერა მწერლის საუკეთესო წიგნი „რისხვის მტევნები" — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი მეოცე საუკუნის ლიტერატურაში.

ომის დროს სტეინბეკი ვერ დარჩა შინ. ის დაჯდა ხალხით გავსებულ სამხედრო გემზე და ევროპაში გაემგზავრა; მას ახლა ხედავენ სამხედრო აეროდრომზე, ის ზის სანგრებში ჰიტლერული ავიაციის საზარო თავდასხმების დროს, მერე სტეინბეკი მიემგზავრება „ახალ ფრონტზე", ჩრდილოეთ აფრიკაში და იქიდან დესანტს მიჰყვება სიცილიაში, გაივლის იტალიას და წერს... წერს... წერს...

განა ტყუილად მოხდა, რომ უკვე ორმოცდათვრამეტი წლის ცნობილმა დიდმა მწერალმა დაიწყო თორმეტათასმილიანი მოგზაურობა „ამერიკის საძიებლად". იგი კომფორტაბელურ ვაგონებით და თვითმფრინავებით კი არ მოგზაურობს, ზის საბარგო მანქანის საჭესთან, რომ იყოს ისეთი, როგორც ყველა ამერიკის გზაზე. იგი ისმენს მშობლიურ ენას, გრძნობს მიწის სურნელებას და მანქანიდან აგდებს შემთხვევით მგზავრს, რომელიც რასისტი აღმოჩნდება.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უაღრესად გაბედული წიგნის — „რისხვის მტევნების" ავტორს არ შეუძლია დღეს მშვიდად ილაპარაკოს ამერიკის უდიდეს სირცხვილზე — რასიულ დისკრიმინაციაზე.

და აი, მწერალი ჩვენი სტუმარია. იგი კვლავ ჭუტავს ცალ თვალს და გასაოცარი ყურადღებით აკვირდება ყველაფერს. „ეს მშვენიერი ქალაქი, ჩრდილიანი ხეივნებით, მთაზე შესკუპებული კოშკი რომ დაჰყურებს თავზე", — ადრეც უნახავს მწერალს. „თვალწარმტაცია ეს კუთხე, უზარმაზარ მთებს კალთები ზედ ზღვის სანაპიროებთან რომ ჩამოუშლია, აქ ცხოვრობს ხალხი — ცეცხლოვანი, ამაყი, უნარიანი, ეს ის ხალხია, რომელსაც უყვარს მუსიკა, ცეკვით მოლხენა და მართლაც ისინი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც საამისოდ ბუნებას შეუქმნია ყველაფერი", — აი ასე დაინახა სტუმრად ჩამოსულმა მწერალმა აქაურობა. და ახლა, როდესაც იგი კვლავ ნაცნობ ადგილებშია, თითქო ეძებსო ვინმეს, ისე აკვირდება გამვლელებს. „ქუჩებში დადიან ლამაზი ქალები და მამაკაცები. დადიან ამაყად, თამამად. სუფთა თვალებში ხალასი გული გამოსჭვივის." პირველად თექვსმეტი წლის წინ ინახულა სტეინბეკმა აქაურობა. ზოგი ისეთივე დარჩენილა, თბილისი კი გამოცვლილა, გასულა უფრო შორს, მკერდი ფართოდ გაუღეღია, ძნელი საცნობია ადრინდელი ქუჩა, ადრინდელი სახლი; იგი სულ უფრო ჭუტავს თვალს, კლდეზე შემდგარ მეტეხის ციხეს გასცქერის, ქვემოთ მტკვარი მიდუდუნებს. იყო აქ ხიდი? ვერ ძალუძს გაიხსენოს რა იდგა ხიდის ახლოს? ეს არაფერი, სახლი და ქუჩა იქნებ თვალს არ დაამახსოვრდეს. ადამიანები კი არასოდეს დაავიწყდება. მცხეთაში ერთი მოხუცი ცხოვრობს. უვავილებით ქარგავს მოთხრობას ბაღზე.

— აჰა, შვილო უვავილი, — მან ლამაზთა შორის ულამაზესი ჩალისფერი ვარდი ამოარჩია, სტუმარს მიართვა.

ბაღში დუდუკი გაიხსენა მწერალმა. დუდუკის დამკვრელს რა გამოლევს საქართველოში?

იგი სულ უფრო ძაბავს სმენას, სახე ეხსნება, ჰანგი ეამა, დუდუკი მოსწონს — მიხვდა დამკვრელი.

— თქვენი იყოს, სახსოვრად მიბოძებია.

სტუმარს არ სჯერა, როგორ იქნება? ეს ხომ ამ კაცის პროფესიული იარაღია? უთუოდ კიდევ აქვს, ასე ფიქრობს სტუმარი. მასპინძელს კი თუნდაც ერთადერთი ჰქონდეს, სტუმრისთვის არ ენანება. რახან ასეა, მედუდუკემაც გაიხსენოს ჯონ სტეინბეკი. მისგანაც ჰქონდეს სამახსოვრო — კალმისტარი.

მედუდუკემ კალამი მოიმარჯვა — არ უნდა წერდეს ცუდად ეს კალმისტარი.

დაე, ამის შემდეგ სტეინბეკმა დაუკრას, შენ კიდევ წერე, მიხეილ!

— სალამური მოგწონთ? ინებეთ, მშვენიერ ჰანგებს გამოსცემს იგი. ირაკლი აბაშიძემ სალამური მოიმარჯვა, სტეინბეკიც აჰყვა. ერთი უკრავს — ლამაზია. ორი — კიდევ უფრო ლამაზი!

ტრაპზე ადის მაღალ-მაღალი კაცი. დროდადრო კოურებიან შავ ჯოხს ებჯინება, ცალ თვალს ჭუტავს, აჰა კიბე მოილია. თვითმფრინავის კარებთან შედგა, მობრუნდა, იღიმება, ხელს იქნევს. მასპინძლებს ემშვიდობება.

მიფრინავს თვითმფრინავი. თვითმფრინავს ჯონ სტეინბეკი მიჰყვება. კინო, ხუანა, ტომ ჯოუდი, ჩარლი — დაბერებული ძაღლი მისდევენ მწერალს.

მედუდუკე მიხეილ ადამაშვილი.





# ანასტასია მაჩაბელი

„ჩემი და ჩემი ოჯახის მფარველო ანგელოზო ქალბატონო ტასო!

ამბობენ, ქვეყანაზე თუ რამე სიკეთე დაგითესია, არ დაიკარგებაო. მე კი არ მომაგონდება ჩემს მიერ ასეთი სიკეთის ჩადენა, რომ ღმერთს სამაგიეროდ ჩემთვის ასეთი ნუგეში გაეჩინა ამ სიბერის დროს. ეს სიტყვები არ მიიღოთ პირფერობად, გეფიცებით ყველაფერს, რაც ჩემთვის ძვირფასია, რომ ამასვე გაიგებდით ყველა ჩემს ნაცნობებს რომ იცნობდეთ. არავითარ სიტყვას არ შეუძლიან გადმოგცეთ ის მადლობა, რასაც მე გულში განვიცდი, მაგრამ მე რომ ბედი მქონოდა, თქვენ ყოველმხრივ გულდამშვიდებული ცხოვრება გექნებოდათ. აბა, იფიქრე, თუ ახლა, ათასნაირი დარდით სავსე გულზე იცლით და არ მივიწყებთ, მაშინ რა იქნებოდა. ეჰ, დაილოცა ღვთის სამართალი, ავებს უფრო ბედი აქვთ, ვიდრე კარგებს.

თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერი სიცოცხლის მონატრე მაკო საფაროვა".

ეს მართლაც საოცარი ადამიანური დოკუმენტია; ამ უბრალო ბარათში, რომელიც მაკო საფაროვ-აბაშიძეს ანასტასია მაჩაბლისათვის მიუწერია, ნათლად ჩანს სახე, ჩანს მთელი ცხოვრება დაუვიწყარი ქართველი ქალისა — ტასო მაჩაბლისა, ჩანს მისი ადამიანური გული, აღსავსე სიკეთით, სამშობლოს სიყვარულით, შინაგანი კეთილშობილებით, ყოველივე იმით, რაც აზრს აძლევს და ამშვენებს ადამიანის ცხოვრებას. საოცარ თავმდაბლობას იჩენს ქართული სცენის უბრწყინვალესი ოსტატი მაკო საფაროვ-აბაშიძე: ისეთი რა სიკეთე დავთესე, რომ ესოდენ დიდი ჯილდო მერგო — შენი კეთილი და მოსიყვარულე გულიო. მაკო საფაროვამ მართლაც დაიმსახურა საერთოსახალხო სიყვარული, მაგრამ აქ ეს როდია მთავარი — აქ ყურადღებას იქცევს თვით პიროვნული დახასიათება ტასო მაჩაბლისა. აქ ჩანს მთელი ცხოვრება შესანიშნავი ქართველი ქალისა, რომელსაც მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა, რაც რევოლუციამდელ მოღვაწეთა მძიმე ხვედრი იყო, მაინც თავისი სიცოცხლის აზრად და მიზნად ქართული ხელოვნებისათვის ზრუნვა აურჩევია.

აი, მეორე წერილიც:

„დიდად პატივცემულო ანასტასია ალექსანდრეს ასულო!

უპირველეს ყოვლისა, მოგილოცავთ მშვიდობით ჩამობრძანებას. სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებით ჩემს თავს ვულოცავ, რადგან თქვენს მობრძანებას მოუთმენლად ველოდი. რა ვქნა, ვიცი, რომ თქვენზე უფრო მეტად არავის არ შესტკივა გული ჩემი იუბილის გამართვისათვის...

თქვენი მარად სიცოცხლის მსურველი ვლ. ალექსი-მესხიშვილი".

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ასეთი წერილის მოყვანა შეიძლება, მაგრამ საკმარისია; ამ ორმა პირადმა ბარათმა ცოცხლად დააყენა ჩვენს თვალწინ ტასო მაჩაბლის ნათელი სახე.

მისი ერთი თანამედროვე წერდა:

„გვინახავს ტასო ფილანტროპისა და კეთილშობილი ქველმოქმედის როლში, ყოველთვის საქმიანი, აჩქარებული, ათას საზრუნავზე ჩაფიქრებული, მუდამ ვიღაცაზე მზრუნველი, ვიღაცის მფარველი". ჭაბუკი ვანო სარაჯიშვილის იტალიაში გამგზავრების მოთავე, ტასო მაჩაბელი, მოსიყვარულე დედასავით თავს დასტრიალებდა სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსულ იოსებ გრიშაშვილს; იმავე დროს, არ ივიწყებდა შორეულ ქალაქებში მიმოფანტულ ღატაკ ქართველ სტუდენტებს.

თანამედროვენი, რითაც და როგორც შეეძლოთ, ცდილობდნენ სამაგიერო მიეზღოთ ამ სიყვარულისათვის. ამას მოწმობს ტასო მაჩაბლის შემდეგი ბარათი.

„ამას წინათ მომივიდა მე დრამატული საზოგადოებიდან საპატიო ბილეთი, მთელი სეზონის, მეორე რიგისა; დრამატულმა საზოგადოებამ დაადგინა ოთხი საპატიო ბილეთი — აკაკისათვის, სუნდუკიანცისათვის, გუბერნიის მარშლისთვის და ჩემთვის. რასაკვირველია, ისინი ძალიან საპატიო წევრნი არიან, მაგრამ მე დიდი მადლობა შევუთვალე, ვთხოვე მეორე რიგის მაგივრად მეხუთე, რადგან ყოველთვის ეგრე დავდივარ... წელს ჩინებულად მიდის თეატრის საქმე".

ტასო ზრუნავდა ხალხის გემოვნების განვითარებაზე, ახალგაზრდობის აღზრდაზე. იგი თავმჯდომარეობდა სახალხო სახლთან არსებულ დრამატულ წრეს. ამავე დროს, არჩეული იყო ქართული დრამატული საზოგადოების საპატიო წევრად.

ანასტასია ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი-დავითაშვილი დაიბადა 1869 წელს, სოფ. ფცაში (გორის მახლობლად); ცხრა წლამდე იგი იზრდებოდა სოფელში დედასთან, შემდეგ მიაბარეს თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში.

ტასო ოცდაორი წლისა იყო, როცა ცოლად წაჰყვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და სახელოვან მწერალს, შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელს ივანე მაჩაბელს.

თავისი თბილი, პატარა ოჯახი ტასომ მალე აქცია ქართული კულტურის კერად.

„მაგონდება შენი სახლი, მუდამ ტკბილი, მყუდრო სამყოფელი, მუდმივ სავსე, თბილი, სასიამოვნო სიმპატიური ხალხით. დედაშენის სალონში იკრიბებოდნენ მაღალი ინტელექტის ადამიანები, მთელი საუკეთესო ვარსკვლავოკრებული... მახსოვს ჩამოდიოდნენ უცხოელები პეტერბურგიდან, საზღვარგარეთიდან და ყოველი მათგანი თავს ვალდებულად სთვლიდა ვიზიტი გაეკეთებინა შენი მშობლებისათვის. აღტაცებულნი და მოხიბლულნი შენი დედის სათნოებითა და მასპინძლობით, ისინი სწერდნენ მოგონებებს თბილისზე და, რაც საგულისხმოა, ტასოზე, როგორც ულამაზეს ქართველ ქალზე და ჩვენ ვამაყობდით ამით". ასე იგონებს ივ. მაჩაბლის ოჯახს ეკატერინე თარხნიშვილი ტასოს ქალიშვილისადმი მიწერილ წერილში.

ცნობილია, რომ გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა გიგო გაბაშვილმა, რომელსაც პირადი ნაცნობობა ჰქონდა ივანე მაჩაბლის მეუღლესთან — ტასო მაჩაბელთან, მისი უბადლო სილამაზის, მისი სახის კლასიკური ნაკვთების საფუძველზე შექმნა თავისი ცნობილი სურათი „ქართველი ქალი სააღდგომო კვერცხით ხელში".

ტასოს ოჯახის ხშირი სტუმრები და ახლობლები იყვნენ დიდი პოეტი აკაკი წერეთელი, ექ. თაყაიშვილი, იონა მეუნარგია, ილია ზურაბიშვილი, ნინო ორბელიანი, ნინო ყიფიანი, მარჯორი უორდროპი და სხვები.

ტასო მუდამ გვერდში ედგა თავის მეუღლეს, ხელს უწყობდა მას შემოქმედებით მუშაობაში და, ცხადია, ყველაზე პირველი კითხულობდა მის შესანიშნავ თარგმანებს.

როცა საშინელი უბედურება დაატყდა თავს არა მარტო ამ ოჯახს, არამედ მთელ ქართველ ხალხს — უკვალოდ დაიკარგა ვანო მაჩაბელი — ერთგული მეუღლე მარტო გაუძლვა ოჯახს; იგი ცდილობდა ბავშვებისათვის ობლობა არ ეგრძნობინებინა და, ამავე დროს, არც საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოშორებია.

მის ქალიშვილს ელენე მაჩაბელს — ჩერქეზიშვილს კარგად ახსოვს მამის უგზოუკვლოდ დაკარგვის შემდეგ ვალებში ჩაფლული ოჯახი, როცა ტასო დარბოდა აქეთ-იქით, ათასგვარ გზას, საშუალებას ეძებდა ბავშვების საზრდოს გამონახვისთვის; ხან სახლის გაყიდვით, ხან ვექსილების, ხან ნივთების დაგირავებით ხომ სული ჰქონდა გაწამებული.

ბავშვების აღზრდა მუდამ მისი ყურადღების ცენტრში იყო.

„ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ თქვენ ცუდები გამოხვიდეთ, — წერდა ტასო თავის შვილს ნიკოს, — ღმერთმა ერთი წუთითაც ნუ მაცოცხლოს, როგორ შევხედო ხალხს, ქვეყანას, თუ კი მე ცუდი დედა, ცუდი აღმზრდელი ვიქნები შვილისა და ცუდ ადამიანებს ვაბარებ საზოგადოებას, ცუდ ადამიანს და მუშას ვუზრდი ჩემს ტანჯულ სამშობლოს, — არ წაგიკითხავს აკაკის ჩინებული პოემა „აღმზრდელი", თუ არ წაგიკითხავს წაიკითხე და ჩემი პასუხი ის არის შენდამი, რაც იმ აღმზრდელმა უპასუხა თავის შეგირდს".

შვილებს ის მუდამ სახელოვანი მამის მაგალითზე მიუთითებდა:

„სულით ამაღლებული იყო წმინდა ცხოვრებით აღსავსე მამა შენი, იმისი მაგალითი თვალწინ უნდა გქონდეს ყოველთვის — ის ფიქრობდა, თუ ყოველი წევრი საზოგადოებისა იქნება სრული ჭკუით, სიკეთით, ეს ხომ ბედნიერება იყო, რადგან საზოგადოებაც იქნებოდა მაშინ მძლავრი, მაგარი, ჯანმრთელი და ასეთი საზოგადოება რას იზამს. მთებს დასძრავს, არა?"

ერთი ორად გაიზარდა ანასტასია მაჩაბლისადმი სიყვარული და თანაგრძნობა თავის თანამედროვეთა შორის, როცა ტასო შეუდგა თავისი მეუღლის ნაწერების გამოცემას. იგი გულმოდგინედ აგროვებდა ივ. მაჩაბელის ცხოვრების და მოღვაწეობის მასალებს.

პოეტი ქალი განდეგილი ამხნევებდა ტასოს:

„მიიღე ჩემი უგულითადესი პატივისცემა და უღრმესი მადლობა იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ იკისრეთ თქვენი ძვირფასი მეუღლის ნაღვაწთა გამოცემისათვის. ჩვენ ყველანი ზნეობრივად ვალდებული ვართ, ხელი შეგიწყოთ, რითაც შეიძლება".



ანასტასია მაჩაბელი გარდაიცვალა 1917 წლის აგვისტოში. პრესამ და საზოგადოებრიობამ გულთბილად დაიტირა ამ შესანიშნავი ადამიანის დაკარგვა. ანასტასიას სახელი მუდამ დაამშვენებს მოღვაწე ქართველ ქალთა იმ პლეადას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის განვითარებას.

**ნინო ჩიხლაძე**

# სამეურნეო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ანტიბიოტიკები და მეცხოველეობა

ხანდახან ცხოველი, კარგი კვების მიუხედავად, წონაში ვერ იმატებს, ხდება კიდეც. ასეთ ცხოველებს ავადმყოფობის არავითარი ნიშნები არ ემჩნევათ, მაგრამ მათი ორგანიზმი ცუდად ითვისებს საკვებს.

ამას წინათ ავსტრიელ ბიოლოგთა ჯგუფმა დაადგინა, რომ წონის მომატებაში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს პრეპარატმა ქლორტეტრაციკლინმა. ხანგრძლივმა დაკვირვებამ ნათელყო, რომ ამ ანტიბიოტიკის უმნიშვნელო დოზა (ასი ათას წილ საკვებზე ერთი წილი ქლორტეტრაციკლინი) კვირაში 1,7 კილოგრამით ზრდის ცხოველის წონას.



### ბრძოლა ზამთრიდანვე იწყება

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა ზამთრიდანვე უნდა დაიწყოს... კანადის კამლუპის საცდელი სადგურის თანამშრომლები მავნებლებთან საბრძოლველად ასეთ მეთოდს მიმართავენ: თოვლითა და ყინულით დაფარულ წყალსაცავების ზედაპირს ისინი მანქანებიდან და თვითმფრინავებიდან აფრქვევენ დუსტს („დდტ"). გაზაფხულზე დუსტი წყალში ერევა, ნიადაგს ეფინება და მუსრს ავლებს გამოფხიზლებულ მავნებლებს, რომლებიც წყალსატევებთან იზამთრებდნენ.



### „ლდ + ცდ 8"

ასე ეწოდება ახლად დამზადებულ პრეპარატს, რომელსაც შაქრის ჭარხლის შესანახად იყენებენ.

ნიადაგიდან ამოღებულ ჭარხალს ახალი პრეპარატი საიმედოდ ინახავს მთელი წელი — ახალი მოსავლის აღებამდე. „ლდ + ცდ 8" საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შაქრის დამამზადებელი საწარმოების სეზონური გადატვირთვა, მთელი წლის მანძილზე გეგმაზომიერად მოვამარაგოთ ისინი საჭირო ნედლეულით.





### შხამგამძლე ფუტკრები

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დუსტი („დდტ") მავნე მწერებთან ერთად ფუტკრებსაც სპობს. მინდვრებისა და ბაღების დუსტით დამუშავების დროს საჭიროა სათანადო ღონისძიებების დაცვა სასარგებლო მწერების გადასარჩენად.

კალიფორნიის საკვლევი ცენტრის რავერსაიდის ენტომოლოგებმა ამას წინათ გადაწყვიტეს შხამგამძლე ფუტკრის ჯიში გამოეყვანათ. მუშაობის დაწყებისთანავე სპეციალისტები მეტად უცნაურ მოვლენას წააწყდნენ. მათთვის ნათელი გახდა, რომ არსებობენ ისეთი ფუტკრები, რომლებიც კარგად უძლებენ დუსტის შხამიან მოქმედებას.

ეს საოცარი მოვლენა მეცნიერებმა შემდეგნაირად ახსნეს: მოწამლული რაიონებიდან ფუტკრებს ნექტართან ერთად დუსტის შხამიც შეჰქონდათ სკებში. ამ შხამს ისინი უნებურად ურევდნენ საკვებში, რის შედეგად სუსტი ფუტკრები იხოცებოდნენ, გამძლე ფუტკრები კი თანდათან ეჩვეოდნენ შხამს და ამ თვისებას ჩამომავლობასაც გადასცემდნენ.

ადამიანის ჩარევის გარეშე ასე შეიძლება შეიქმნას შხამგამძლე ფუტკრების ჯიში.

### სათესი ფართობების გაუდიდებლად

სულფამიდინური პრეპარატებით მზესუმზირას ნათესების დამუშავება ათი პროცენტით ზრდის მცენარის თესლის ცხიმიანობას! — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბულგარელი სპეციალისტები, რომლებიც ლაბორატორიულ პირობებში აწარმოებდნენ ცდებს. ანალოგიური ცდები ამჟამად სამ დიდ საბჭოთა მეურნეობაში სწარმოებს.

სპეციალისტების მიზანია დაადგინონ, გადასცემს თუ არა მცენარე მის მიერ მემკვიდრეობით შეძენილ მაღალცხიმიანობას, და თუ გადასცემს, სულფამიდინური პრეპარატით განმეორებითი დამუშავების შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდება თუ არა ეს ცხიმიანობა?

ამ საკითხის დადებითად გადაჭრა საშუალებას მოგვცემს ნათესი ფართობების გადიდების გარეშე მნიშვნელოვნად მეტი მზესუმზირას ზეთი მივიღოთ.



### წველადობის ამაღლება

აქამდე, ალბათ, არავის მოსვლია აზრად, რომ ძროხებს ელექტროსაწველი აპარატები დაამიწოს. ახალი ზელანდიის რუაკურის მეცხოველეობის საცდელი სადგურის მუშაკები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთი ღონისძიების ჩატარება აუცილებელია წველადობის გასადიდებლად.

ელექტროსაწველი აპარატით წველის პროცესში ძროხის ირგვლივ იქმნება ელექტრული მუხტი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს პირუტყვზე. ახალზელანდიელ სპეციალისტთა დაკვირვებამ ნათელყო, რომ ეს უმნიშვნელო ძაბვა ათ პროცენტამდე ამცირებს წველადობას. დაქვეითებული წველადობის ჩვეულებრივ დონემდე აყვანას კი რამდენიმე დღე სჭირდება.



### ყურძნის... ზეთი

მზესუმზირას, ბამბის, ზეთისხილის, სიმინდის ზეთები ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ამჟამად გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი ზეთი, რომელსაც... ყურძნისაგან ამზადებენ.

ზეთის მისაღებ ნედლეულად იყენებენ ყურძნის წიპწას.

ახალი ზეთი საუკეთესო თვისებებით ხასიათდება: ხარისხით იგი მზესუმზირას ზეთზე უკეთესია, გემოთი კი გაწმენდილი ზეთისხილის ზეთს წააგავს.

სამეურნეო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძვირფასესი რეზერვები

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწე ქალებს დღემდე არაფერი დაუწერიათ ფეხბურთზე. მე გადავწყვიტე პირველმა დავარღვიო ეს ტრადიცია.

ამას წინათ ფეხბურთის მატჩს დავესწარი. თვალყურს იმდენად მინდორს კი არ ვადევნებდი, სადაც საინტერესო ვერაფერი დავინახე, არამედ მაყურებლებს უფრო ვათვალიერებდი. ო, ფეხბურთის მაყურებლები — ისინი უბრალო მაყურებლები როდი არიან!

— უჰური, კიდევ დაკარგა ბურთი! ეხ, ერთი მაგის ადგილას ვიყო! პირველად მარცხნივ გავგზავნიდი ბურთს, შემდეგ კი უკან შემოვაბრუნებდი...

— გააფუჭა, კიდევ გააფუჭა!.. მე რომ სამჯერ უფრო შორს ვმდგარიყავი, მაინც გავიტანდი ამ ბურთს.

— იპოვეს რაღა, ვინ უნდა ათამაშონ ცენტრალურ თავდამსხმელად!.. გააძევეთ მინდვრიდან... გააძევეთ ეგ მეხაშე, ეგა!

— არა, ერთი უყურე, კუს ნაბიჯით არ დაბობღავენ მინდორზე...

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

და მე მივხვდი, რომ სწორედ აქ, ტრიბუნებზე ათასობით ხედან საუკეთესო თავდამსხმელები, რკინისებური მცველები, შეუვალი მეკარეები, ბრძენი მწვრთნელები. და მაშინ, როცა თერთმეტი კუ საცოდავად დაბობღავს მინდორზე და შეცდომას შეცდომაზე უშვებს — ჭეშმარიტი ფეხბურთელები, მდუღვარე გულებით, ობლად სხედან ტრიბუნებზე, რომლებიც მინდვრიდან ციხესიმაგრესავით არის გადატიხრული.

ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა!

ვიტა ჟილინსკაიტე

ლიტვა

მიხეილ შილდელი

## ერთი საწყალი ბახალა

ყვავს შეეძინა ბახალა
და გაზრდაც აღარ აცალა,
გარდა სკოლისა პატარა
მასწავლებლებთან ატარა.
თქვა: მსურს ისეთი გავზარდო,
ტოლი არ ჰყავდეს არსადო.
ხატვა კოდალამ ასწავლა,
ბულბულმა — დაკვრა, გალობა,
მასწავლებელი აწამა
ბახალას „მუსიკალობამ".
ჩაუბულბულა კაჭკაჭმა
ინგლისური და ფრანგული,
ტოროლამ იტალიური,
ოფოფმა — ჰანგი ფანდურის.
გადაიღალა ბახალა
ათას საქმეში გართული,
ვერც უცხო ენა ისწავლა,
ვერც მშობლიური ქართული.



დასასვენებლად მივემგზავრებოდით, დიდძალი ბარგი-ბარხანა მიგვქონდა. უცებ მამამ წამოიძახა:

— საწერი მაგიდის წამოღება დაგვავიწყდა!

— რას ამბობ, საწერი მაგიდა რად გინდა? — შეეკითხა დედა.

— შიგ ჩვენი სამგზავრო ბილეთებია!

* * *



პროფესორი თავისი ოჯახით აგარაკზე ცხოვრობდა. იმ წელს წვიმიანი ზაფხული იყო და პროფესორმა გადაწყვიტა ქალაქში წასულიყო, რომ ცოლისა და შვიდი ქალიშვილისათვის ქოლგები ეყიდა. მატარებელში მის გვერდით ქოლგიანი მოხუცი კაცი დაჯდა. ჩასვლისას პროფესორმა ფაცაფუცში შემთხვევით მეზობლის ქოლგას წამოავლო ხელი.

— ეს ჩემი ქოლგაა, — უთხრა მოხუცმა.

— მაპატიეთ, გეთაყვა, — ზრდილობიანად მიუგო პროფესორმა და მოხუცს ქოლგა გაუწოდა.

საღამოს პროფესორი თავისი ნავაჭრით — რვა ქოლგით უკან ბრუნდებოდა. მატარებელში კვლავ ის მოხუცი კაცი შეხვდა.

მოხუცმა რვა ქოლგით დატვირთული პროფესორი დაინახა თუ არა, ხალისიანად წამოიძახა:

— როგორც ჩანს, დღეს თქვენ ცუდად არ გიმუშავიათ!

* * *



ერთმა მღვდელმა მხატვარს ეკლესიისათვის დიდი ტილო შეუკვეთა. რამდენიმე კვირის შემდეგ სურათი მზად იყო. შესანიშნავი გამოვიდა. მღვდელმა თავდაპირველად სურათი შეაქო. მერე უეცრად წამოიძახა: — მოიცა. ეს რას ჰგავს? ანგელოსს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩააცვით?

— დიახ, რატომაც არა? — უპასუხა მხატვარმა.

— განა, ოდესმე გინახავთ ფეხსაცმლიანი ანგელოსი?

— თქვენ კი უფეხსაცმლო ანგელოსი სადმე შეგხვედრიათ?!

გერმანულიდან თარგმნა
ვიოლა ვეზირიშვილმა



— ამ კაცს რა მიარბენინებს დარბაზიდან?

— იმ მსახიობი ქალის ქმარი გახლავთ...

ნახატი-ხუმრობა ა. ანისიმოვისა

გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვრის სახელოსნოში. მარცხნიდან მარჯვნივ: ზ. ლეჟავა, ე. ახვლედიანი, გ. ოჩიაური და უ. ჯაფარიძე.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: მანდარინებში.
ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. საკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-63 წ. გამოც. № 92, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.800. შეკვ. № 2656, უე 12247

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა